

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს


სხდომის ოქმი № 5

ქ.თბილისი

11.04.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
3. ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
4. რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს საგანმანათლებლო ასოციაციის პრეზიდენტი;
5. ლალი ლოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
6. დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
7. დავით კერესელიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
8. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
9. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. მარინა ჟვანია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის უფროსი;



11. დავით მახვილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
12. ნათია ვაჭარაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;
13. თამარ ლორთქიფანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
14. ეკატერინე ჩინჩალაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის სამმართველოს უფროსი;
15. მაკა კორძაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;
16. კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტი;
17. იოსებ კაჭახიძე - შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის დირექტორი;
18. დეკანოზი მირონ სამხარაძე - ა(ა)იპ - წმინდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა პანსიონის დირექტორი;
19. მაია რცხილაძე - შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ დირექტორი;
20. მ. ბერძენიშვილი - შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
21. ლია გოჩაშვილი - შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ ხარისხის მართვის ხელმძღვანელი;
22. დავით ჯანგულაშვილი - შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ დამფუძნებელი, შპს „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი;
23. ქეთევან ბახტაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის რექტორი;
24. ი. ადეიშვილი - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრორექტორი სასწავლო დარგში;
25. ალინა კუპრავა - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის სწავლების მენეჯერი;

- 26.თ. ბუკია - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
- 27.ეკატერინე მაისურაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
- 28.ხათუნა კალახაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
- 29.ზაზა ბერიშვილი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;
- 30.ქეთევან მანჯაფარაშვილი - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი;
- 31.თამთა სირბილაძე - შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- 32.მარიამ დარბაიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- 33.დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- 34.ქეთევან ინანაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- 35.ლელა ქელბაქიანი - ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:35 სთ.-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ-წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა;
6. კავშირი საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ასოციაცია - თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შეწყვეტის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (პრაქტიკოსი ექთანი (V), პრაქტიკოსი ბეზიაქალი (V)) განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა;
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი (IV-V) განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

1. შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს მოკლედ მოახსენა განხორციელებული პროცედურის შესახებ.

შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლამ, საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის 25 იანვარს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (წერილი №2, ცენტრში რეგისტრაციის №03-440). დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის წესდების დამოწმებული ასლი და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 თებერვლის №08/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, „ექთნის თანაშემწის“ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში და ასევე პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული საგნის დამოუკიდებელი მუშაობის საათები;

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ქუთაისის სამედიცინო სკოლაში 1 კრედიტი შეესაბამება 30 საათს, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით. შესაბამისად, კრედიტების საათებს გამოკლებული სილაბუსში მითითებული საკონტაქტო საათები და აღნიშნულის შედგეგად მიღებული სხვაობა წარმომადგენს დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, რომელიც შეადგენს 5-10 საათს.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე თუ როდის გამოიცა დაწესებულების დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანება, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბრძანება N22 გამოცემულია 9 მარტს.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასმულ შეკითხვაზე ავტორიზაციის ექსპერტმა, ქეთევან ინანაშვილმა უპასუხა, რომ ექსპერტები ვიზიტის დროს ხელმძღვანელობდნენ სკოლის დირექტორის 2011 წლის 24 იანვრის N33 ბრძანებით, რომლითაც დამტკიცებული იყო დაწესებულებაში შეფასების სისტემა და რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში ერთი კრედიტი შეადგენდა 25-30 საათს, შესაბამისად 25 საათის შემთხვევაში გამოირიცხებოდა დამოუკიდებელი სამუშაო საათების არსებობა. ამასთან, ექსპერტების განმარტებით, ვიზიტის დროს მათთვის არ ყოფილა წარდგენილი დირექტორის 2011 წლის 9 მარტის N22 ბრძანება, რომლითაც შევიდა ცვლილება N33 ბრძანებაში და 1 კრედიტი გახდა 30 საათი.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, „ექთნის თანაშემწის“ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში და „ფარმაციის თანაშემწის“ საგანმანათლებლო პროგრამის „წამლის ფორმათა ტექნოლოგიის“ და „სამედიცინო ტერმინოლოგიის“ სილაბუსებში საათების რაოდენობის გაშლაში სალექციო საათებში მოცემულია 0 სთ;

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით დაწესებულებაში ლექციები აუცილებლად ჩატარდება პროგრამის განსახორციელებლად, უბრალოდ რადგან იქნება პროფესიული სტუდენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფები, ამიტომ დიდ სალექციო აუდიტორიებში დიდი ლექციები არ ჩატარდება. ამასთან, წარმომადგენლების განმარტებით, კანონში არის მითითებული, რომ აუცილებლად უნდა იყოს „ლექცია/სამუშაო ჯგუფებთან

მუშაობა“, შესაბამისად, ვინაიდან ჯგუფები იქნება მცირერიცხოვანი ამას დაერქვა სამუშაო ჯგუფთან მუშაობა და არა ლექცია.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით ლექციას ატარებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის მქონე პიროვნება და არა მასწავლებელი, შესაბამისად ტერმინოლოგიის არაერთგვაროვანი განმარტების პრობლემაა.

1.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, „ექთნის თანაშემწის (II საფეხური)“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის „სამედიცინო ტერმინოლოგიის (ქართული/ლათინური)“ სილაბუსი არის „ფარმაცევტის თანაშემწის (V საფეხური)“ საგანმანათლებლო პროგრამის იგივე დასახელების სასწავლო კურსის სილაბუსის იდენტური. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ საათებში. ექთნის თანაშემწის პროგრამაში თითოეული დისციპლინისთვის მიცემულია 1 საათი, მაშინ როდესაც ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამაში, ზოგიერთი დისციპლინა ითვალისწინებს 2 საათს.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ისინი იზიარებენ ექსპერტის დასკვნაში აღნიშნულ ამ შენიშვნას. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ესენი ერთი და იგივე დისციპლინებია, უბრალოდ მოცულობებია სხვადასხვა, ერთი დისციპლინაა ერთ კრედიტიანი, ხოლო მეორე ორ კრედიტიანი“. ამასთან შენიშვნა გათვალისწინებულია და სილაბუსები უფრო დახვეწილი ფორმითაა წარმოდგენილი საბჭოს სხდომაზე. კერძოდ, გაზიარებულ იქნა ის გარემოება, რომ იდენტური ნაწილები აღარ არსებობს ამ ორ სილაბუსში. სხდომაზე ასევე განმარტება გააკეთა „სამედიცინო ტერმინოლოგიის“ დისციპლინის მასწავლებელმა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ორ საგანმანათლებლო პროგრამაში „სამედიცინო ტერმინოლოგიის“ დისციპლინები განსხვავებული მოცულობით ისწავლება. მე-5 საფეხური მოიცავს უფრო ღრმა შინაარსს, რის საშუალებას დისციპლინისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც იძლევა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, გაიანე სიმონიას განმარტებით აღნიშნული დისციპლინის წარმოდგენილ სილაბუსებში განსხვავება არის. ამასთან, ძირითადი დატვირთვა გრამატიკაზეა გადატანილი და ფარმაციას ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი.

1.2 ზეპირ მოსმენაზე განხილულ იქნა აგრეთვე სხვა შენიშვნები, რომლებიც გამოვლენილ იქნა ექსპერტთა დასკვნისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე.

1.2.1 ფარმაცევტის თანაშემწის და ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრული არ არის სწავლების მეთოდოლოგია.

1.2.2 დაწესებულების ორივე საგანმანათლებლო პროგრამა „შედგენილია“ განათლების სფეროში გამოცემული ნორმატიული აქტების სხვადასხვა ნაწილების შეერთებით. დაწესებულების მიერ შესაძლებელია შექმნილი იყოს მხოლოდ „პროგრამა“-ში არსებული სასწავლო გეგმა. თუმცა, სასწავლო გეგმა შეიცავს არსებით ხარვეზებს. მაგალითად, „ექთნის თანაშემწის“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო გეგმის მიხედვით, სამედიცინო ტერმინოლოგიის სასწავლო კურსისათვის გათვლილი ერთი კრედიტი უტოლდება 20 საათს. არსებული ასევე დასტურდება კურსის სილაბუსით.

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას.

1.2.3 ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის ინფორმატიკის სილაბუსის მიხედვით 1 კრედიტი შეადგენს 25 საათს. თუმცა, ეს 25 საათი სრულად ეთმობა მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობას. სილაბუსი არ მოიცავს დამოუკიდებელ მეცადინეობას და გამოცდების ჩაბარების დროს.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო რასაც პასუხი გაეცა. კერძოდ, პროგრამაში მოცემულია მხოლოდ საკონტაქტო საათები. დარჩენილი 5 საათის ფარგლებში ტარდება ფინალური გამოცდები.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, თუკი საბჭო მიიჩნევს, რომ N22 ბრძანება გამოცემული იყო 2011 წლის 9 მარტს და ჩათვლის რომ სილაბუსებში მითითებული 25-30 საათის ნაცვალდ ყველგან ერთ კრედიტს შეესაბამება 30 საათი, ასევე თუ გაითვალისწინებს, რომ დაწესებულების ყველა ლექტორს გამორჩა მხედველობიდან სილაბუსების ზემოაღნიშნულ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა, და თუკი იმასაც ივარაუდებს საბჭო, რომ 25 საათი მთლიანად პრაქტიკას ეთმობა, დარჩენილი 5 საათი რაზე უნდა გადანაწილდეს - დამოუკიდებელ სამუშაოზე თუ ფინალურ გამოცდაზე.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით დარჩენილი 5 საათი უნდა გადანაწილდეს როგორც დამოუკიდებელ სამუშაო დროზე, ისე ფინალურ გამოცდაზე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სილაბუსი არის ლექტორსა და სტუდენტს შორის გაფორმებული კონტრაქტი საგნის სწავლებისა და შესწავლის პირობებზე.

ის ადვილად აღქმადი უნდა იყოს სტუდენტისათვის. სტუდენტმა უნდა იცოდეს რამდენი აქტიური საათია გათვალისწინებული, რა თემატიკას გაივლის, რა სახელმძღვანელოები დასჭირდება, ვინ წაუკითხავს ლექციებს და პრაქტიკულ სამუშაოებს ვინ ჩაუტარებს. თუ ამ ინფორმაციას სილაბუსი არ იძლევა და სტუდენტისათვის ეს ყველაფერი არის გაუგებარი და უნდა ივარაუდოს, რომ ასეთი სილაბუსი არ არის სრულყოფილი.

1.3 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ პროგრამა არ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენი ღია სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი, სადაც მოცემულია ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაციები, სასწავლო გეგმა (სასწავლო კურსები, შესაბამისი კრედიტი და საათებად გაშლა), შეფასების სისტემა და სხვა.

კატალოგის მე-6 პუნქტში გაწერილია „მიღება/რეგისტრაციის პროცედურები“, რომელშიც მოცემული სასწავლებელში ჩასარიცხად რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი არასრულია, კერძოდ, არ არის მოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 03 თებერვლის №9/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ აღნიშნული ხარვეზი არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ დადგინდეს დაწესებულების პირობის შეუსაბამობა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს“.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამებში მოცემული სწავლის შედეგები იდენტურია შესაბამისი პროფესიული სტანდარტის სწავლის შედეგების. მიზანშეწონილია პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები გამოიყენოს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის 6 კრიტერიუმის მიხედვით.

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2011 წლის 01 იანვრის N6.1 ბრძანება „ქუთაისის სამედიცინო სკოლის პროფესიული სტუდენტის

სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესების შესახებ“, თუმცა, ბრძანებით დამტკიცებულ დანართში მოცემულია მხოლოდ - „შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა - საზოგადოებრივ კოლეჯში ჩარიცხვის წესი და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციათა ნუსხა“.

სკოლაში მობილობის და მიღებული განათლების აღიარების ნორმებს არეგულირებს „სასწავლო წესდების“ მე-19 მუხლი. წესდების მე -20 მუხლში მოცემულია „სწავლის დროებითი შეწყვეტა“, რომლის პუნქტები შინაარსობრივად მოიცავს სტუდენტის სწავლის შეჩერების ნორმებს. ასევე, მე-18 მუხლში მოცემულია „სწავლის დასრულება და კურსზე დარჩენა“, რომლის პუნქტები შინაარსობრივად მოიცავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ნორმებს. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ნორმები ასევე მოცემულია კოლეჯის დირექტორის 2011 წლის 20 იანვრის N1.1 ბრძანებით დამტკიცებულ „შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ შინაგანაწესში და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ 36-ე მუხლში.

4.2 ზეპირ მოსმენაზე განხილულ იქნა ხარვეზები, რომლებიც გამოვლენილ იქნა ექსპერტთა დასკვნისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე

ქუთაისის სამედიცინო სკოლის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესი სრულად ემთხვევა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების დირექტორის 2011 წლის 20 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. ხსენებული დოკუმენტის 36-ე მუხლის მიხედვით, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია, მაგალითად, შეურაცხყოფა აკადემიური პერსონალის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას არ ახორციელებს აკადემიური პერსონალი. დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე, ირკვევა, რომ ავტორიზაციის მამიებელ დაწესებულებას მოპოვებული აქვს თსუ-ს შინაგანაწესი, რაც დასტურდება მრავალი ჩანაწერით. ერთ-ერთი მაგალითია: „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით მისი საჯაროდ გამოცხადებიდან - თსუ-ში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ღიად განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს“.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესით იხელმძღვანელა შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის შინაგანაწესის შემუშვების დროს, შესაბამისად ტექნიკური შეცდომაა გაპარული დაწესებულების შინაგანაწესის იმ ადგილებში, სადაც დაფიქსირებულია „თსუ“.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას თავად უნდა ჰქონდეს შემუშავებული ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტები. ისინი ერთის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას მაგრამ არ უნდა იყოს მისი იდენტური და მეორეს მხრივ, მათში გათვალისწინებული უნდა იყოს დაწესებულების თავისებურებები და საჭიროებები, შესაბამისად არ უნდა იყოს გადმოკოპირებული სხვა, მითუმეტეს სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან.

შესაბამისად, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2011 წლის 24 იანვრის N7 ბრძანება „ქუთაისის სამედიცინო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი“.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2011 წლის 24 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, დანართში მოცემულია „სტუდენტური გამოკითხვის“ ფორმა. სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შტატი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დიანა ნემსიწვერიძის ზეპირი განმარტებით სამსახურის მიერ დაგეგმილია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მეთოდების შემუშავება, რომელიც დამყარებული იქნება სტუდენტთა და პედაგოგთა აზრის გათვალისწინებით პროგრამების დახვეწაზე და მოდიფიცირებაზე. წარმოდგენილია: პედაგოგების შეფასების ფორმა; გამოცდის მონიტორინგის ფურცელი; სასწავლო პროცესის წარმართვის უწყისი.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლას“ ქ. ქუთაისში მალხაზ დვალიშვილის ქ. №13-ში იჯარით აღებული აქვთ 1901,34 კვ.მ. ფართი, რომელიც შედგება ორი შენობისაგან (შენობა №1 1088,86 კვ.მ. ფართით და შენობა №3 812,48 კვ.მ. ფართით). მეიჯარე არის შპს „ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფო“, რომლის დირექტორიც არის იოსებ კაჭახიძე. მოიჯარეს (შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლა“) დირექტორიც არის იგივე პიროვნება, იოსებ კაჭახიძე.

შენობა №1-ზე საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 21 ივლისს, ხოლო შენობა №3-ის იჯარით გადაცემის ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წლის 14 თებერვალს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ქუთაისი, მალხაზ დვალიშვილის ქ. #13	1901,34

ქ. ქუთაისში, შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლას“, მალხაზ დვალიშვილის №13-ში მდებარე შენობაში იჯარით დაკავებული აქვს 1901,34 კვ.მ. ფართი. საიდანაც სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო ფართი შედგება: აუდიტორიები -249,28 კვ.მ. ლაბორატორიები - 328,73 კვ.მ. ბიბლიოთეკა - 67,05კვ.მ. პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაო ოთახები - 74,94 კვ.მ. და დამხმარე ფართი - 729,26 კვ.მ. -ისგან. გარდა ამისა ექსპერტების მიერ არაა ჩათვლილი 416,99 კვ.მ. რადგან სასწავლო პროცესში არ მონაწილეობს. ამრიგად, მითითებულ მისამართზე სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ფართია - 720 კვ.მ. ხოლო დამხმარე კი - 729,26 კვ.მ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების აღნიშნულ მისამართზე მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, არაა საკმარისი დაწესებულების მისიის, მიზნების და ამოცანების გასახორციელებლად. ამიტომ მაძიებელ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები: შპს „ალიანსთან“ (სააფთიაქო ქსელი); შპს „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის ქუთაისის ლაბორატორიასთან“; შპს „ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოსთან“ და ასევე გაფორმებული აქვთ შეთანხმებები: შპს „ქუთაისის ივ. სხირტლაძის სახელობის სარაიონთაშორისო ფსიქონერვოლოგიურ დისპანსერთან“; ს/ს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკურ

ცენტრთან“; შპს „რეგიონულ ონკოლოგიურ ცენტრთან“; ს/ს „იმერეთის სამხარეო ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრთან“.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა ამ ნაწილში არ არის საკმარისად დასაბუთებული.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ბუნებრივი და ელექტრო განათების შესაძლებლობებით. თუმცა არის რამდენიმე აუდიტორია, რომლებისთვისაც ბუნებრივი განათება არის „მეორადი“. ამ ოთახებში ბუნებრივი განათება შედის დერეფნის გავლით. შენობებში არაა გათბობის სისტემა. დაწესებულების ხელმძღვანელობის განცხადებით შენობას გაათბობენ ელექტრო ღუმელებით (33 ცალი), რომლებიც ალაგია აუდიტორიებში და ლაბორატორიებში.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის ბიბლიოთეკის ფონდი არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. წიგნადი ფონდი მოიცავს 44 ბეჭდურ და 77 ელექტრონულ სახელმძღვანელოს (დატანილია CD დისკებზე), მათ შორისაა 14 ერთეული ვიდეო სალექციო მასალა (ვისკონსინის ტექნიკური კოლეჯის ექთნის თანაშემწის ლექციების ვიდეო ვერსია, რომელის ინსტრუქტაჟი თარგმნილია ქართულ ენაზე და არსებობს ბეჭდური სახით).

წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით და აქვს სკოლის ბეჭედი.

სკოლის ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლას“, არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით, საკუთრებაში აქვს 28 კომპიუტერი, 1 სკანერი, ოთხი პრინტერი, სამი ქსეროქსი (კომბაინი), ერთი ლეპტოპი, ორი პროექტორი.

გადამოწმებისას, ადგილზე აღმოჩნდა 30 კომპიუტერი, 1 პრინტერი, 3 ქსეროქსი (კომბაინი), სამი მონიტორი, ორი მულტივიდეო პროექტორი, ერთი ლეპტოპი. აღნიშნული კომპიუტერებიდან 22 ჩართულია ინტერნეტში, 5 კომპიუტერი არ მუშაობს.

სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტში და ინტრანეტში ჩართული შესაბამისი საინფორმაციო ტექნიკით, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ინფორმაციული კურსების

განხორციელებისათვის, სკოლის ადმინისტრაციულ კაბინეტებში და საპროფესოროში განთავსებული (ინტერნეტში და ინტრანეტში ჩართული) ინფორმაციული ტექნიკა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ადმინისტრაციული მართვისთვის. აგრეთვე, სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ნაწილი (პროგრამები, კონტაქტი, სიახლეები და სხვა) ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, მოცემულია სკოლის საკონტაქტო e-mail - info@kms.edu.ge, ხოლო დანარჩენი განკუთვნილია ავტორიზებული მომხმარებლისათვის (თანამშრომლებისთვის და სტუდენტთათვის).

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა. წარმოდგენილია აკინძული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი. დაწესებულებაში წარმოებს დირექტორის ბრძანებების აღრიცხვა და რეგისტრაცია ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია შინაგანაწესში. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (სახანძრო დაფის სახით) განთავსებულია N1 და N3 შენობებში. გარდა ამისა ცალკეულ ოთახებში არის განთავსებული სპეციალური ცეცხლმაქრები, სულ სამი ცალი;

შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა;

საზოგადოებრივ კოლეჯს აქვს გადაუდებელი, პირველადი დახმარების სამედიცინო ოთახი;

წესრიგი დაცვა ხორციელდება საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესის მიხედვით, მაგრამ როგორ ან ვინ ახორციელებს არ ჩანს.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კოლეჯში ჯერ სწავლა არ მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არ ქონის გამო, შესაბამისად წესრიგის დაცვის აუცილებლობა ამჟამად არ არის. თუმცა გათვალისწინებულია აღნიშნული შინაგანაწესით და ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში კოლეჯში დაინიშნებიან დაცვის თანამშრომლები.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის”.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლას“ იჯარით აღებულ შენობაში (შენობა №1) შესასვლელიდან პირველ სართულზე ასასვლელ კიბეებზე მოწყობილი

აქვს პანდუსი, მაგრამ სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი მეორე სართულზე და შენობა №3-ში ვერ მოხვდება.

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ ეტლით მოძრაობა შესაძლებელია ორივე შენობის ნაწილში, კერძოდ პირველ სართულზე.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, სკოლის სასწავლო წესდება, კატალოგი, პერსონალი და სხვა. ვებგვერდის შექმნის თარიღი 2010 წლის 26 ოქტომბერი, ვებ-სივრცის მომსახურების თაობაზე გაფორმებულია ხელშეკრულება „კავკასუს ონლაინთან“, ინფორმაციის ბოლო განახლების თარიღი 2011 წლის 01 მარტი.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები,

გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს”.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას ჰყავს 51 მასწავლებელი, ამასთან დაწესებულებაში არ ირიცხება არცერთი სტუდენტი.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომით ხელშეკრულება კანონმდებლობის ნორმების დაცვით. სკოლის დირექტორის 2011 წლის 20 იანვრის N1.1 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა მუშაობის პირობები, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, პერსონალის უფლებები, შეღავათები და სხვა.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლისათვის საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 6

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლას უარი ეთქვას საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მინიჭებაზე.

2. ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს ეკატერინე ჩინჩალაძეს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. ეკატერინე ჩინჩალაძემ დამსწრე პირებს მოკლედ გააცნო განხორციელებული პროცედურა.

ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონმა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის პირველ თებერვალს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით. დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა პანსიონის წესდების დამოწმებული ასლი და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული კითხვარი, ვინაიდან დაწესებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 15 თებერვლის №09/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2010 წლის 31 აგვისტოს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში არის მოცემული სასკოლო საათობრივი ბადე (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად), რომელიც მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ძირითადი საგნების გარდა წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად (გვ.13-14) გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების სახით საგანთა მთელი რიგი ჩამონათვალი, ზოგიერთი ისწავლება როგორც სავალდებულო საგანი, ზოგი კი არჩევითია, განსაზღვრულია დამატებითი საგნების სტატუსი (ფაკულტატიურია თუ სავალდებულო, (მითითებულია ჩატარების დრო, პედაგოგი). დამატებითი საგანებია: საღვთო სჯული, ძველი ქართული, ხრიდოლი, ქართული ცეკვა, ხალხური საკრავები, სოლფეჯიო, ხალხური სიმღერები. სკოლა-პანსიონში არსებობს უცხოური ენის დამატებითი მომსახურება, რომელსაც სკოლა-პანსიონი აფინანსებს. წერილობით წარმოდგენილია დამატებითი საგნების სასწავლო გეგმა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად მოიცავს საგნის შესწავლის მიზნებს, შეფასების პრინციპებს, საჭირო სასწავლო მასალის ჩამონათვალს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოები და სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე 2010 წლის 31 აგვისტოს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ა(ა)იპ საქართველოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონში ინკლუზიური განათლების მართვის დებულება (ამ ეტაპზე სსსმ -მოსწავლე არ ჰყავთ). დებულებაში წარმოდგენილია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ჩატარებული იქნება ასეთი მოსწავლეების ყოლის შემთხვევაში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სასკოლო შეფასების სისტემა. შემუშავებულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის წესი.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებელთა სია კლასების მიხედვით და ძირითადი მოვალეობები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დეტალურად არის გაწერილი პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

1.3 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონში არსებობს საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებს საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელს. კათედრებს ჰყავთ ხელმძღვანელები, აქვთ საგნობრივი კათედრის ჟურნალები, სადაც წარმოდგენილია კათედრის სხდომების ოქმები. ადგილზე წარმოდგენილია საგნობრივი პროგრამები და სილაბუსები, სადაც ჩამოთვლილია თემები და საათობრივი გადანაწილება, მითითებულია მიზნები და სტანდარტის შედეგები, აქტივობები და მეთოდები, რომლებსაც იყენებს მასწავლებელი დასახული მიზნის მისაღწევად. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, მუშაობს გახანგრძლივებული ჯგუფი. სკოლის პედსაბჭოზე წარმოდგენილი დამტკიცებული სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის”.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შემუშავებულია ინკლუზიური განათლების დებულება, სადაც გათვალისწინებულია სპეციალური საჭიროების, შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა ადაპტირება სკოლის დანარჩენ მოსწავლეებთან; მათთვის თანატოლებთან ერთად ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ხელშეწყობისა და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით გამოყოფილია რესურს-ოთახი აღჭურვილი საჭიროების გათვალისწინებით.

დღეისათვის სკოლა-პანსიონს არ ჰყავს სპეციალური ან/და სსსმ მოსწავლე, საჭიროების შემთხვევაში სკოლა-პანსიონი მზადაა შეუქმნას მათ ყველა საჭირო პირობა. შემუშავებულია სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმები, პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს პერსონალურად ერთ პედაგოგს, მასთან ერთად იმუშავენ პედაგოგი ლოგოპედის კვალიფიკაციით.

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად”.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებას. მასწავლებლები იყენებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპებს, სამ კომპონენტს (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება). კათედრებზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები. შესაბამისად, მოსწავლეებიც იცნობენ თუ კონკრეტულად როგორ ფასდებიან. შეფასება არის ხშირი და მრავალმხრივი, რაც აისახება ჟურნალში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესით დადგენილია ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც მოსწავლემ უნდა დაძლიოს კლასიდან კლასში გადასასვლელად, გათვალისწინებულია შიდა სასკოლო მიმდინარე და შემაჯამებელი ტესტირებები.

რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, გამოყენებულია არა მარტო სიტყვიერი კომენტარი, არამედ დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასების სქემები, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელსაც და მოსწავლესაც დინამიკაში დაინახონ კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი. შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც გულისხმობს სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას. გაწერილია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მიზნით.

აგრეთვე სკოლაში შედგენილია კრებების ჩატარების გრაფიკი და მშობელთა მორიგეობის ცხრილი. შექმნილია სკოლა-პანსიონის ინტერნეტ გვერდი, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სიახლეების გაცნობა. ელექტრონული ჟურნალი შექმნის პროცესშია. მშობლები არიან დისციპლინარული კომიტეტის წევრები. ტარდება დისკუსიები პრობლემურ საკითხებზე.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. იგულისხმება სასწავლო პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად ჩატარებული მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა (80%), რის შედეგადაც სასწავლო გეგმა შეფასდა დადებითად, შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმად დასახელდა ოლიმპიადებსა და კონფერენციებში აქტიური ჩაბმა.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სკოლა-პანსიონს აქვს სასწავლო სააღმზრდელო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსები ერთ მისამართზე, საერთო ფართი შეადგენს 7603,3 კვ.მ. აქედან სკოლა-პანსიონის სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკული სამუშაოების პროგრამების განხორციელებისთვის გამოიყენება 2208,8 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქ. #13	7603, 3 კვ.მ.

სკოლა-პანსიონს აქვს უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული მოსწავლის ინდივიდუალური მერხები, სასკოლო დაფები, მაგნიტური და გადასაადგილებელი დაფები, კომპიუტერული სწავლების კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორით, ვიდეო და აუდიო რესურსებით, სკოლას აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარი საბუნებისმეტყველო საგნებში.

სკოლა-პანსიონს აქვს სპორტული დარბაზი და მოედანი.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლებისა და ავტორიზაციის ექსპერტის ლელა ქელბაქიანის განმარტებებით გამოირკვა, რომ დაწესებულების საერთო ფართიდან, რომელიც შეადგენს 7603,3 კვ.მ.-ს გამოიყენება მხოლოდ 2208,8 კვ.მ. ვინაიდან დარჩენილი ფართი არის გასარემონტებელი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლა-პანსიონში დამონტაჟებულია ზამთარ-ზაფხულის ელექტრო-კონდიციონერები და ელექტროღუმელები, რაც საშუალებას იძლევა შენობაში, საკლასო ოთახებში, კაბინეტებში შენარჩუნებული იქნას სტაბილური ტემპერატურა სეზონის მიხედვით.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით (3600 წიგნი), რომელიც მოიცავს როგორც შესაბამის ლიტერატურას, პერიოდიკას, სახელმძღვანელოებს, მუსიკალურ

ლიტერატურას, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას, ენციკლოპედიებს.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონში შექმნილია ყველა პირობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით. სკოლას ემსახურება სამარშრუტო ტაქსი და ავტობუსი.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არის შიდა კომპიუტერული ქსელი, ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა.

დაწესებულებას აქვს საკუთარი წესდება, შინაგანაწესი და სასწავლო წესდება.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონს აქვს სახანძრო-ტექნიკური შეიარაღებისა და ხანძრის ჩაქრობის უახლესი პირველადი საშუალებები, აკრძალულია თამბაქოს მოწევა, დირექტორის ბრძანებით შექმნილია „საგანგებო სიტუაციების შტაბი“, რომლის წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შექმნა და შესაძლო საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია. თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული ევაკუაციის გეგმა საევაკუაციო მარშრუტებით და თავდაცვის უსაფრთხო განთავსების ზონებით. ფუნქციონირებს საჭირო მედიკამენტებითა და რესურსებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, წესრიგი კონტროლდება სათვალთვალ კამერებით და დაცვის სამსახურის მეშვეობით; დაწესებულებაში საშტატო განრიგის მიხედვით მუშაობს 6 დარაჯი, 3 დაცვის თანამშრომელი, 1 ექიმი, 1 ექთანი, ელექტრიკოსი და სანტექნიკოსი.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონის წესდება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი. დაწესებულების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა ხორციელდება დამფუძნებელთან შეთანხმებით, დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონში შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. შედგენილია ჩასატარებელიმომდინარე და პრევენციული სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და გაუმჯობესებას.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა”.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის მიერ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას ემსახურება კანცელარიის გამგე, რომელიც პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციაზე, აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებაზე ბრძანების წიგნების, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალის, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების, ანბანური წიგნების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა (დასაქმებულთა) პირადი საქმეების წარმოებაზე.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში მასწავლებელთა შერჩევისათვის დირექტორის ბრძანებით შექმნილია გასაუბრების კომისია. შერჩეულ კანდიდატთა მონაცემები შეესაბამება მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მასწავლებლის სტანდარტს. მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი მასწავლებლების მიერ. სკოლა-პანსიონში წარმატებული საქმიანობისთვის ხდება პედაგოგთა წახალისება.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სკოლა-პანსიონში, მასწავლებელთა შერჩევის მიზნით, დირექტორის ბრძანებით, შექმნილია გასაუბრების კომისია, სადაც გაწერილია აგრეთვე საკონკურსო მოთხოვნები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სკოლაში პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსებით 15 პედაგოგმა გაიარა ტრენინგები სასერტიფიკაციო გამოცდების ჩასაბარებლად.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე, ერთობლივი კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვა, ინტეგრირებული გაკვეთილები და ღონისძიებები. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან ავტორიზაციის მამიებელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ფარგლებში სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

I. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების მიერ შემუშავებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. ყველა პროგრამაში განსაზღვრულია მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ხის მხატვრული დამუშავება	პირველი საფეხური	ხის მხატვრული დამუშავების პირველი საფეხურის სპეციალისტი	15
2	ხის მხატვრული დამუშავება	მეორე საფეხური	ხის მხატვრული დამუშავების მეორე საფეხურის სპეციალისტი	20
3	ხის მხატვრული დამუშავება	მესამე საფეხური	ხის მხატვრული დამუშავების მესამე საფეხურის სპეციალისტი	25
4	მემინანქრე	მესამე საფეხური	მინანქრის მესამე საფეხურის სპეციალისტი	30
5	თექის ხელოსანი	მესამე საფეხური	თექის ხელოსნის მესამე საფეხურის	30

			სპეციალისტი	
6	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	პირველი საფეხური	სამკერვალო ნაწარმის პირველი საფეხურის სპეციალისტი	20
7	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მეორე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის მეორე საფეხურის სპეციალისტი	20
8	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის მესამე საფეხურის სპეციალისტი	20

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1. სკოლა-პანსიონს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მისანიჭებელი კვალიფიკაციების,

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს“.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამისი დარგის პროფესიულ სტანდარტებს

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება № 5, 24 იანვარი, 2011 წელი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობისა და განათლების აღიარების წესები.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით განსაზღვრულია პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლების მექანიზმი, კერძოდ პანსიონი უზრუნველყოფს სტუდენტთა გადაყვანას სხვა ალტერნატიულ პროგრამაზე, ანდა იგივე პროგრამაზე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასებისათვის შემუშავებული აქვს ანკეტა-კითხვარები სტუდენტების, პედაგოგების, მშობლებისა და პოტენციური დამსაქმებლების აზრის კვლევის მიზნით. ჯერჯერობით სკოლას პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება არ განუხორციელებია, ამდენად მონაცემების ანალიზი წარმოდგენილი არ არის. სასურველია კითხვარები უფრო მიზნობრივად იყოს შედგენილი.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სკოლა-პანსიონს საკუთრებაში აქვს შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 7603,3 კვ.მ, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილია მეორე კორპუსის პირველი სართული, საერთო ფართობით - 448,2 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქ. #13	7603,3

პროფესიული პროგრამებისათვის გამოყოფილი სასწავლო ფართი 448,2 კვ.მ. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ხელსაწყოებით

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ოთახების განლაგება მთელი დღის მანძილზე ბუნებრივი განათების შესაძლებლობას იძლევა, რასაც ხელს უწყობს მეტალოპლასტმასის ფართო ფანჯრები. სკოლაში ამ ეტაპზე დამონტაჟებული არ არის გათბობის სისტემა, მაგრამ ოთახები თბება ელექტროგათბობლებით.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ბიბლიოთეკაში აღრიცხულია სულ 3600 წიგნი, ბიბლიოთეკა მოწესრიგებულია საბიბლიოთეკო პრინციპით, არსებობს წიგნების რეგისტრაციის საინვენტარო ჟურნალი, მკითხველთა და პროფესორ-მასწავლებელთა ბარათები და ანბანური კატალოგი. წიგნები თაროზე განლაგებულია თემატურად.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა დაცულია ბიბლიოთეკაში.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არის შიგა კომპიუტერული ქსელი, ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არსებობს დირექტორის სამართლებრივი აქტების - ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი და წიგნი, გასული და შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი, ხელშეკრულებების ჟურნალი. ჟურნალები ზონარგაყრილი და დალუქულია.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ აწესებულებაში დაცულია

პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონს აქვს სახანძრო-ტექნიკური შეიარაღების და ხანძრის ჩაქრობის უახლესი პირველადი საშუალებები, აკრძალულია თამბაქოს მოწევა, დირექტორის ბრძანებით შექმნილია „საგანგებო სიტუაციების შტაბი“, რომლის წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შექმნა და შესაძლო საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია. თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული ევაკუაციის გეგმა საევაკუაციო მარშრუტებით და თავდაცვის უსაფრთხო განთავსების ზონებით. ფუნქციონირებს საჭირო მედიკამენტებითა და რესურსებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, წესრიგი კონტროლდება სათვალთვალ კამერებით და დაცვის სამსახურის მეშვეობით; დაწესებულებაში საშტატო განრიგის მიხედვით მუშაობს 6 დარაჯი, 3 დაცვის თანამშრომელი, 1 ექიმი, 1 ექთანი, ელექტრიკოსი და სანტექნიკოსი.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის”.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სპეციალური და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულებას აქვს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური რესურსებით, შეზღუდული გადაადგილების მქონე სტუდენტთათვის გაკეთებულია პანდუსი; შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების უზრუნველყოფის დებულება. სკოლას ყავს სურდოლოგი.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ისტორია, სტრუქტურა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია პერსონალის, მოსწავლეების, ბიბლიოთეკის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, შექმნის თარიღი. ვებ-გვერდს აქვს სტუმართა მრიცხველი, ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები,

გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს”.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონი საქმიანობას ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან, დეტალურადაა გაწერილი შესასრულებელი ამოცანები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს აგრეთვე განვითარების გრძელვადიანი - ექვსწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ სრულყოფას.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ამჟამად სკოლა-პანსიონში პროფესიული სტუდენტები არ ირიცხებიან, ხოლო მასწავლებლების რაოდენობაა 7.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლა-პანსიონში, მასწავლებელთა შერჩევის მიზნით, დირექტორის ბრძანებით, შექმნილია გასაუბრების კომისია, სადაც გაწერილია აგრეთვე საკონკურსო მოთხოვნები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 552-ით.

2. ა(ა)იპ - წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 168-ით.

3. შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა "პოლუსის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს ეკატერინე ჩინჩალაძეს სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. ეკატერინე ჩინჩალაძემ ე პდამსწირირებს მოკლედ მოახსენა განხორციელებული პროცედურის შესახებ.

შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა "პოლუსმა", ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით. დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული კითხვარი, შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა "პოლუსის" წესდების დამოწმებული ასლი და ავტორიზაციის განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 15 თებერვლის №10/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სავალდებულო და არჩევითი საგნების საათობრივ ბაძეს, სადამრიგებლო პროგრამას, შეფასების სისტემას და მთლიანად შეესაბამება ეროვნულ

სასწავლო გეგმას. საგნებიდან პრიორიტეტი ენიჭება მშობლიური ენის, პირველი და მეორე უცხოური ენების სწავლებას და მათემატიკას. სავალდებულო საათებიდან გადახრა პრიორიტეტული საგნების სასარგებლოდ 6.5%-ს არ აღემატება, რაც, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დასაშვებია.

არჩევით საგნებში მითითებულია სახელმწიფო და მოქალაქეობა, ხელოვნება და გლობალური პრობლემების გეოგრაფია. აღნიშნული საგნების სწავლება ხელს უწყობს მისიაში ჩამოყალიბებული მიზნებისა და იდეალების მიღწევას.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოიცავს ინგლისური ენის, მეტყველების კულტურის, ჭადრაკისა და ინფორმატიკის სწავლებას. დამატებით საგნებს, ისევე, როგორც სავალდებულოსა და არჩევითს, აქვს სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები. წარმოდგენილია დამატებითი საგნების სწავლების გრაფიკი, შეფასების კრიტერიუმები, სწავლის შედეგები და სამუშაო გეგმები.

სადამრიგებლო პროგრამას აქვს ჩამოყალიბებული მიზნები, ამოცანები, ძირითადი მიმართულებები და მოთხოვნები. პროგრამა მოიცავს მოსწავლის სოციალური უნარების, აკადემიური მოსწრების, არასაპატიო გაცდენების, ჯილდოების და დისციპლინური დარღვევების დიაგრამას, დამრიგებლების სამოქმედო გეგმებს, კლასის მოსწავლეთა მონიტორინგის ფორმებს, კლასში მოსწავლეთა მორიგეობის წესებს, მშობლებთან ურთიერთობის რეკომენდაციებს, მშობელთა კრებების ოქმებს, კლასისა და ცალკეული მოსწავლის დახასიათების ფორმებს, ექსკურსიის დაგეგმვის ფორმებს, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშებს, დამრიგებელთა შეხვედრების ოქმებს.

სკოლაში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესის შედეგები ასახულია საამღმრდელო დარგში დირექტორის მოადგილის ანგარიშში.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმა და, „სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

2.1. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში შემავალი საგნობრივი პროგრამები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც ევალუბრებენ სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობის მართვა. არსებობს კათედრების სამუშაო გეგმები, თემატურ-კალენდარული და ყოველდღიური გაკვეთილის გეგმები, კათედრების სხდომების ოქმები, კათედრის ხელმძღვანელებისა და პედაგოგების ანგარიშები ჩატარებული ღონისძიებებისა და გაწეული სამუშაოს შესახებ. თითოეულ კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, დადგენილი აქვს მინიმალური გამსვლელი ქულა. თემატურ გეგმებსა და ანგარიშებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ, ერთად გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კათედრებს ევალუბრებენ ასევე, სახელმძღვანელოების შერჩევა.

სისტემატიურად ხდება მოსწავლეთა მოსწრების მონიტორინგი - დგება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშები კლასების მიხედვით და საგნების სწავლების რეიტინგული ანგარიშები.

შექმნილია სწავლის წამახალისებელი გარემო. მოსწავლეები მონაწილეობენ შიდა სასკოლო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში. შესამჩნევია პროგრესი მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილეობისა და წარმატების მაჩვენებლებში. 2009 წელს საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის დარეგისტრირდა 51 მოსწავლე, მათგან 31-მა მიიღო მონაწილეობა. მეორე ტურში კი მხოლოდ ერთი გადავიდა. 2010 წელს 35 მოსწავლე დარეგისტრირდა ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ყველამ მიიღო მონაწილეობა პირველ ტურში, მეორე ტურში გადავიდა 31 მოსწავლე.

სისტემატიურად ტარდება კლასგარეშე ღონისძიებები: ექსკურსიები, კონკურსები, ვიქტორინები და სხვა, რომლებიც მიზნად ისხავს მოსწავლეთა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვისა და შეფასების ფორმები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის“.

3.1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მოსწავლეების უზრუნველყოფილნი არიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. მოსწავლეთა რეიტინგული ანალიზის შედეგად ხდება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის, ან გაცდენილი მასალის აღსადგენად არსებობს დამატებითი გაკვეთილების განრიგი, რომლებზეც მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში.

არსებული მდგომარეობით, სკოლაში არის ერთი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე, რომლიც სუსტი ჯანმრთელობის გამო ხშირად აცდენს გაკვეთილებს და ამის გამო აქვს დაბალი აკადემიური მოსწრება. ის სისტემატიურად ესწრება დამატებით მეცადინეობებს გაცდენილი მასალის აღსადგენად.

სკოლაში არსებული მდგომარეობით, არც ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლე არ ჰყავთ, მაგრამ თუ ასეთი იქნება, სკოლას აქვს გამოყოფილი ადაპტირებული ფართი საკლასო ოთახისათვის და შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა.

3.2. ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას ჩამოყალიბებული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობას აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მართალია, შეფასების კრიტერიუმები აღრეულია შეფასების მეთოდებში, მაგ. კრიტერიუმებად მიჩნეულია ტესტი დახურული და ღია კითხვებით, მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერითი მეტყველება, თხზულება და ა.შ. მაგრამ საგნების მიხედვით მინიმალური გადასალახავი ბარიერების განსაზღვრისას შეფასების კრიტერიუმები სწორად არის ჩამოყალიბებული. თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია მინიმალური გამსვლელი ქულა და რუბრიკები თითოეულ სწავლის შედეგზე - რა ცოდნა და უნარები შეესაბამება თითოეულ ქულას კონკრეტულ საგანში.

შეფასების კრიტერიუმების გაცნობა მოსწავლეებისათვის და მათი მშობლებისათვის რამოდენიმე გზით ხდება: ა) სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო ნაწილის გამგე შედის ყველა კლასში და მოსწავლეებს აცნობს ცვლილებებსა და სიახლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ნაწილში ბ) საგნის მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს კლასს საგანში არსებულ მოთხოვნებს, მინიმალურ გამსვლელ ქულას, რუბრიკებს, ანუ, რა ცოდნა და უნარები ფასდება 10 ქულით, 9 ქულით და ა.შ. გ) რუბრიკები კლასში გამოკრულია მთელი წლის მანძილზე და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და მათი მშობლებისათვის. დ) კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს გაცდენებთან დაკავშირებულ ვალდებულებებსა და სახდელებს.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი შინაგანაწესით დადგენილი არ არის. შინაგანაწესის მიხედვით მშობელს უფლება აქვს ყოველ პარასკევს ეწვიოს სკოლას შვილის აკადემიური წარმატებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. თუმცა, ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგილია მშობელთა ინფორმირების უფრო ეფექტური ფორმებიც - იმ მშობლებს, რომლებსაც აქვთ ელექტრონული ფოსტა, ინფორმაცია კლასის დამრიგებლის მიერ მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით; კლასის დამრიგებლები მშობლებს სემესტრის ბოლოს გადასცემენ ან უზავნიან შეფასების ფურცლებს, რომელშიც ასახულია მოსწავლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები თითოეულ საგანში; მშობლების მოთხოვნით სკოლაში აწარმოებენ დღიურებს, სადაც მასწავლებლებს რეგულარულად შეაქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები; მოსწავლე თა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირებისთვის აქტიურად გამოიყენება სატელეფონო ზარები.

რაც შეეხება მშობელთა ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში, დაგეგმილი სასკოლო ღონისძიებების შესახებ მშობელთა ინფორმირება ხდება ფოიეში გამოკრული განცხადებით; ასევე, ინფორმაციას ატყობინებენ შვილები ან კლასის ხელმძღვანელი. ფუნქციონირებს სკოლის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში არსებობს ანგარიშგების, მონაცემთა შეგროვების, შეფასებისა და ანალიზის მექანიზმები.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება ხდება საგნის მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. სასწავლო გეგმის შეფასებისა და გადახედვის საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე სასკოლო საზოგადოების ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

სასწავლო პროცესს მუდმივ მრავალმხრივ მონიტორინგს უკეთებს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. მონიტორინგის შედეგებს ის წარუდგენს სკოლის დირექტორსა და პედაგოგიურ საბჭოს. მის მიერ გაკეთებული პირველი სემესტრის ანგარიში დეტალურია, ობიექტური, საკმაოდ კრიტიკული, ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებს და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 250 კვ.მ ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით;

ა.გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსი“ 24 საათიანი სარგებლობის უფლებით ფლობს ერთ მისამართზე არსებულ ფართს - 1730 კვ.მ.-ს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი, ვაზისუბანი, II მიკრო-ნი	1730 კვ.მ.

საკლასო ოთახები განლაგებულია სკოლის ორ სართულზე. პირველ სართულზე განთავსებულია ერთი საკლასო ოთახი, შეზღუდული უნარებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, დანარჩენი საკლასო ოთახები განთავსებულია მეორე სართულზე. ისინი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მქონე ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 450 კვ.მ. თანამედროვე სტანდარტების მქონე სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, ტენისის მაგიდეებით, სარბენი ბილიკით და სხვა სავარჯიშო ინვენტარით. სკოლას ასევე აქვს ღია სპორტული მოედანი, რომელიც განთავსებულია სკოლის ეზოში.

ზეპირ მოსმენაზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ლალი შაიშმელაშვილის განმარტებით გამოირკვა, რომ 2010 წლის დეკემბრამდე შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან არსებობდა კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა, რომელიც 2010 წლის 20 დეკემბერს გამოეყო უნივერსიტეტს და დაფუძნდა შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსის“ სახით. ლალი შაიშმელაშვილის განმარტებით ვიზიტის დროს გაირკვა, რომ მატერიალური რესურსის ნაწილი შეძენილია 2010 წლის 20 დეკემბრის შემდეგ (აღნიშნული ეხება ასევე დაწესებულების მიერ შეძენილის კომპიუტერების ნაწილს), თუმცა არა თვით სკოლის, არამედ უნივერსიტეტის მიერ და შესაბამისად, იმყოფებოდა სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში. სკოლის დირექტორის განმარტებით (რომელიც ამავედროულად, შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დამუშენებელი და რექტორია), ადგილი ჰქონდა გაუგებრობას, კერძოდ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს კერძო

მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „პოლუსს“ ავტორიზაციის გავლამდე არ შეეძლო მოწაფეების მიღება, მის მიერ აღქმული იყო, როგორც ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შეუძლებლობა ამ სუბიექტის მიერ ავტორიზაციის მიღებამდე. ამდენად, სკოლისთვის საჭირო ქონების შეძენას ის ახორციელებდა უნივერსიტეტის სახელით. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლის მიერ გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიება, კერძოდ: მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა უნივერსიტეტისა და სკოლის ქონების გამიჯვნა და სკოლისთვის განკუთვნილი ქონების სკოლის ბალანსზე აყვანა. აღნიშნული ხარვეზი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე იქნა გამოსწორებული.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის არსებობს დამატებითი დენი წყაროები, კერძოდ: ორი გენერატორი). სველი წერტილები განლაგებულია შენობის ორივე სართულზე, ყველა ფლიგელში და მოპირკეთებულია კაფელით და მეტლახით. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის დიდ ნაწილში არის ცენტრალური გათბობის სისტემა, ხოლო იმ ოთახებში, რომლებიც არ არის ჩართული ერთიან სისტემაში, დამონტაჟებულია გაზის გამათბობლები.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1238 ერთეულს, იგი შეესაბამება სასწავლო გეგმას. ბიბლიოთეკაში არის მხატვრული ლიტერატურაც. სასწავლო გეგმის შესაბამის პერიოდიკაზე გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ჯეომედთან“. არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული ელექტრონული და ბეჭდური კატალოგი, ინვენტარის წიგნი (3 ცალი - ქართული, უცხოური ლიტერატურის და ელექტრონული მატარებლების), სარეგისტრაციო ჟურნალი, მკითხველის ბარათები. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა 09.30-დან 17.00 საათამდე. ბიბლიოთეკაში არის 2 კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნის თაროებით, მაგიდებით, სკამებით, ქსეროასლის გადამღები აპარატით. არსებობს თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეათათვის.“

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის პირველ სართულზე არის შესაბამისი სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახი, სადაც საჭიროების შემთხვევაში განთავსდება ის კლასი, რომელშიც ისწავლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე.

სკოლას ასევე აქვს სპეციალური ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის სარგებლობაშია 23 ერთეული, მაღალი სიხშირის კომპიუტერი (თითოეული მათგანი ჩართულია ინტერნეტში), 3 პრინტერი, 2 ქსეროქსის აპარატი და პროექტორი. ფუნქციონირებს ორი კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 20 კომპიუტერი. დანარჩენი განთავსებულია ბიბლიოთეკასა და ადმინისტრაციის ოთახში.

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდის მისამართია: www.school.edu.ge. ვებ-გვერდის უნიკოდი არის სილფაინი. განთავსებულია სკოლის წესდება, სტრუქტურა, მონაცემები პერსონალის და მოსწავლეების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლაში პერსონალის და მოსწავლეთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით არსებობს:

- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ: 4 ცეცხლჩაქრობი ბალონი, რომელიც განთავსებულია ორივე სართულზე. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები.
- ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების სამედიცინო მედიკამენტებით და აპარატურით. მოსწავლეების პირველად დახმარებასთან ერთად ექიმი უზრუნველყოფს მათი ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს და მშობლების ინფორმირებას.
- ყოველთვიურად ხდება სკოლაში სანიტარული ღონისძიებების გატარება სადეზინფექციო პროფილაქტიკური სამსახურის მიერ
- წესრიგის დაცვას ახორციელებენ წესრიგის დაცვის ინსპექტორები და სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი მორიგეები
- სკოლის გარე პერიმეტრის დაცვა ხორციელდება დარაჯის მიერ. აკრძალულია უცხო პირთა შესვლა სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის დროს.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები”.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, სადაც ჩამოყალიბებულია შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა "პოლუსის" მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრუქტურა. მართვის ორგანოების და პერსონალის დანიშვნის და არჩევის წესი და უფლება-მოვალეობები, ასევე სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. წესდებაში პირდაპირ არ არის მითითებული სკოლის მისიის შესახებ, თუმცა ჩამოყალიბებულია სკოლის მიზნები და ამოცანები,

და მათი განხორციელების გზები, რაც შინაარსობრივად თანხვედრაშია სკოლის მისიასთან (სკოლას გაწერილი აქვს მისია, რომელიც შემუშავებულია სკოლის შესაბამისი ორგანოების და დამტკიცებულია დირექტორის მიერ).

სკოლაში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი, სადაც გაწერილია სკოლის სტრუქტურა და მართვა; თანამშრომელთა მიღების, გადაყვანის და დათხოვის წესი; თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები; წახალისების წესები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები; მოსწავლის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) და სკოლის უფლება-მოვალეობანი; მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი; თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, სტუმრების სკოლაში გამოცხადების და გადაადგილების წესი; მოსწავლეთა წახალისება წარმატებისთვის; მოსწავლის დისციპლინალური დარღვევები და სახდელები; შეფასების სიტემა; გადაწყვეტილებების მიღების წესი და სხვა.

სკოლას აქვს ეროვნული გეგმის მიხედვით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება, სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულება, საგნობრივი კათედრის ზოგადი დებულება (ასევე თითოეული კათედრის დებულება), ბიბლიოთეკის დებულება, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის დებულება, სადაც გაწერილია შესაბამისი სტრუქტურების უფლება-მოვალეობები და ფუნქციები.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, რომელიც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

სკოლის პრიორიტეტებია: მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, პარტნიორული პროგრამების ამოქმედება, მოსწავლეთათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობით გრანტების მოპოვება, ბიბლიოთეკის დაკომპლექტება ახალი წიგნადი ფონდით, ელექტრო ჟურნალების დანერგვა, სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, საცურაო აუზის მშენებლობა და სხვა.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღიკვეთა.

სკოლა აწარმოებს: გასული და შემოსული კორესპონდენციების, ბრძანებების აღიკვეთის წიგნებს; მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნს, საშუალო განათლების ატესტატების გაცემის წიგნს, მოსწავლეთა მოძრაობის აღიკვეთის წიგნს, ცნობების გაცემის წიგნს.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, სკოლაში ირიცხება 215 მოსწავლე. სკოლის დაწყებით საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 13 პედაგოგი, საბაზო და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამას - 19 პედაგოგი. გახანგრძლივებულ ჯგუფს უძღვება 2 პედაგოგი. სკოლას ემსახურება ექიმი, ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 16-ს.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და სწავლების გამოცდილება. მასწავლებლების სრულ უმეტესობას აქვს მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი შესაბამის სფეროში. სკოლაში მუშაობს ერთი სერტიფიცირებული პედაგოგი, ხოლო 7 მასწავლებელი ემზადება სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასასვლელად. სკოლის მასწავლებლები რეგულარულად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების პროგრამებში.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა“.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.

სკოლაში ამჟამად მოქმედებს მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დაკავების დებულება, რომლითაც განსაზღვრულია პედაგოგთა მიღება ღია კონკურსის წესით, საკონკურსო პირობები და შერჩევის კრიტერიუმები.

სკოლას შემუშავებული აქვს წახალისების და სანქციების სისტემა, რომელიც ასევე განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით და შემუშავებული და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „ სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობით გრანტის მოპოვების ხელშეწყობის მიზნით სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 10 000 ლარამდე.

სკოლის მიერ რეგულარულად ხდება პედაგოგთა პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი უახლესი დიდაქტიკური და სხვა ლიტერატურის შეძენა; სკოლის პედაგოგები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებზე.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ სკოლაში არის დაცულობის,

კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

სკოლა თითოეული მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის სწავლის შედეგების, ყოფა-ქცევისა და სკოლის საქმიანობის შესახებ, აძლევს მათ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ სკოლის საქმიანობაში.

მოსწავლეები და მასწავლებლები გაწევრიანებული არიან სკოლის სხვადასხვა სტრუქტურებში, რაც ხელს უწყობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელშიც მაქსიმალურად გათვალისწინებულია მათი ინტერესები.

სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შექმნილია სხვადასხვა წრეები (თეატრალური, მუსიკალური, ქართული ცეკვის და ა.შ.). მოსწავლეები ჩართულნი არიან ოლიმპიადებში, კონკურსებსა და სხვა სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებებში.

მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ყოველდღიურად და ყოველი გაკვეთილის დასაწყისში ხდება მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა, დისციპლინის კონტროლი.

სკოლას ემსახურება ორი დისციპლინაზე პასუხისმგებელი ინსპექტორი, ყველა აუდიტორიაში დამონტაჟებულია ვიდეო კამერები, ასევე ვიდეო თვალის მეშვეობით ხორციელდება გარეშე პირთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლის რეგულირება.

სკოლაში სისტემატურად ტარდება პრევენციული ღონისძიებები, ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად (ანტინიკოტინური, ანტიალკოჰოლური, ანტინარკოტიკული ღონისძიებები). სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლას ემსახურება ექიმი, შეძენილია პირველადი დახმარების მედიკამენტები და აპარატურა.

სკოლაში პატივისცემით ექცევიან მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის სხვა დამხმარე პერსონალს;

სისტემატურად ტარდება მასწავლებელთა შეკრებები და მათ მიერ საერთო საქმის დაგეგმვა;

ხშირად ეწყობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი დასწრება თეატრსა თუ საგამოფენო დარბაზებში, ექსკურსიები ღირსშესაანაშნავი ადგილების დასათვალიერებლად და ა.შ.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა "პოლუსისათვის" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებისა და მოსწავლეთა რაოდენობის 443-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა „პოლუსს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 443-ით.

4. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხი

I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს მოკლედ მოახსენა ინფორმაცია განხორციელებული პროცედურის შესახებ.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიამ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2011 წლის პირველ მარტს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (ცენტრში რეგისტრაციის №03-1533).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 4 მარტის №11/ა ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: ეკატერინე ბალიშვილი, მარიამ დარბაიძე და ელენე გვენცაძე), შემოწმდა ავტორიზაციის მაძიებლის პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს ავტორიზაციის საბჭოს წევრების მიმართ არ განუცხადებიათ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მან შეისწავლა ცენტრის მიერ გადაგზავნილი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე წევრებს ჰკითხა ჰქონდათ თუ არა საშუალება გაცნობოდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ იგი გააცნობდა საბჭოს წევრებს დასკვნაში აღნიშნული იმ ფაქტობრივი გარემოებებს, რომელზეც არსებობდა შენიშვნები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს განახორციელოს შემდეგი 25 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა დაკვნის მიხედვით, დაწესებულებას სურს განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	დრამის რეჟისორ რეპეტიტორი	IV	დრამის რეჟისორ- რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2.	დრამის რეჟისორ- რეპეტიტორი	V	დრამის რეჟისორ- რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
3.	გუნდის ლოტბარი/რეგენტი	V	გუნდის ლოტბარი/რეგენტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
4.	ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი	V	ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	180
5.	მონტაჟის რეჟისორი	IV	მონტაჟის რეჟისორის IV	60

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
6.	მონტაჟის რეჟისორი	V	მონტაჟის რეჟისორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	IV	მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	V	მცირე ბიზნესის მწარმოებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
9.	კინოტელე ოპერატორი	IV	ტელე-კინო ოპერატორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
10.	ქორეოგრაფ- რეპეტიტორი	IV	ქორეოგრაფ- რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
11.	ქორეოგრაფ-	V	ქორეოგრაფ-	60

	რეპეტიტორი		რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
12.	საესტრადო მუსიკის შემსრულებელი	IV	საესტრადო მუსიკის შემსრულებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
13.	საესტრადო მუსიკის შემსრულებელი	V	საესტრადო მუსიკის შემსრულებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
14.	ეროვნული სამოსის სპეციალისტი	I	ეროვნული სამოსის სპეციალისტის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
15.	ეროვნული სამოსის სპეციალისტი	II	ეროვნული სამოსის სპეციალისტის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
16.	ეროვნული სამოსის სპეციალისტი	III	ეროვნული სამოსის სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

17.	ეროვნული სამოსის სპეციალისტი	IV	ეროვნული სამოსის სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
18.	ეროვნული სამოსის სპეციალისტი	V	ეროვნული სამოსის სპეციალისტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
19.	კორესპონდენტი	III	კორესპონდენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
20.	კრიმინალისტი	IV	კრიმინალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
21.	კრიმინალისტი	V	კრიმინალისტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
22.	ტელე-რადიო რეპორტიორი	IV	ტელე-რადიო რეპორტიორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
23.	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	III	სასტუმრო საქმის მწარმოებლის III	60

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
24.	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	IV	სასტუმრო საქმის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
25.	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	V	სასტუმრო საქმის მწარმოებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).“

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც დამტკიცებულია რექტორის №3 ბრძანებით

(17.02.2011). რექტორის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება ასახულია დაწესებულების შინაგანაწესში. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია მიზნები, მეთოდები. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სწავლის შედეგები გაწერილია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები.

1.1.2 დასკვნის მიხედვით, დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა წელიწადნახევრიანია და მოიცავს 90 კრედიტს, საიდანაც 63 კრედიტი (70 %) ეთმობა პრაქტიკას, ხოლო დანარჩენი 27 კრედიტი (30%) თეორიას. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების ჩაბარება და დამატებითი პირობა - შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით.

1.1.3 დრამის რეჟისორ -რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა წელიწადნახევრიანია და მოიცავს 90 კრედიტს, საიდანაც 45 (50%) ეთმობა პრაქტიკას, დანარჩენი 45 (50%) კრედიტი თეორიას. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის IV საფეხურის დიპლომი და დამატებით - შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით.

1.1.4 დასკვნაში ასვე მოცემულია, რომ გუნდის ლოტბარი/რეგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - გუნდის ლოტბარის, რეგენტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა საგუნდო მუსიკის შემსრულებლობასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსების შესწავლას, ხოლო 60% სასწავლო-შემოქმედებით და პედაგოგიურ პრაქტიკას. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი

განათლება, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტი და დამატებით - შემოქმედებითი ტურები და შესარჩევი კონკურსი.

ზეპირ მოსმენაზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გუნდის ლოტბარი/რეგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს. პროფესიულ სტანდარტში კი მოცემულია 120 კრედიტი. მომხსენებელმა მიუთითა, რომ ექსპერტის დასკვნაში არსებულ პროფესიული პროგრამების ჩამონათვალში იგივე პროგრამაზე მითითებული იყო 120 კრედიტი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებდა ზეპირ მოსმენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტ მარიამ დარბაიძეს და სთხოვა განემარტა რომელი მონაცემი იყო ზუსტი, 120 თუ 90 კრედიტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობდა ეკატერინე ბალიშვილი, ამიტომ ზუსტი პასუხი მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით არ ჰქონდა. ექსპერტმა აღნიშნა რომ ინფორმაცია ეხებოდა პროგრამის მე-2 და მე-3 საფეხურებს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ იგივე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, კერძოდ, დაეზუსტებინათ თუ რამდენ კრედიტიანი იყო ლოტბარი/რეგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ლოტბარი/რეგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებული იყო დაწესებულების ოფიციალურ საიტზე და მისთვის გათვალისწინებული იყო 120 კრედიტი.

1.1.5 ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის საქმიანობასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსების შესწავლას, 60% - სასწავლო-შემოქმედებით და საშემსრულებლო პრაქტიკას. 1კრედიტი უტოლდება 25 საათს. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, ერთიან ეროვნულ

გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტი და დამატებით - შემოქმედებითი ტურები და შესარჩევი კონკურსი.

1.1.6 დასკვნაში ასევე მოცემულია, რომ მონტაჟის რეჟისორის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - მონტაჟის რეჟისორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა სპეციალობის თეორიული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 30 კრედიტი - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტი და დამატებით - კონკურსი გასაუბრებით. ექსპერტმა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დააფიქსირა შენიშვნა, კერძოდ, მისი აზრით, კრედიტების გადანაწილება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის შეესაბამება აღნიშნული პროგრამის პროფესიულ სტანდარტს, თუმცა შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან.

ავტორიზაციის საბჭო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მონტაჟის რეჟისორის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 30 კრედიტი ანუ 50% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს არანაკლებ 40%-ს.

1.1.7 ასევე დასკვნის მიხედვით, მონტაჟის რეჟისორის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - მონტაჟის რეჟისორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა სპეციალობის თეორიული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 30 კრედიტი - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. დაშვების წინაპირობა მონტაჟის რეჟისორის IV საფეხურის დიპლომი და დამატებით - კონკურსი გასაუბრებით.

ექსპერტმა მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით დააფიქსირა შენიშვნა, კერძოდ მისი აზრით, კრედიტების გადანაწილება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის შეესაბამება აღნიშნული პროგრამის პროფესიულ სტანდარტს, თუმცა შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან.

ავტორიზაციის საბჭო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს არანაკლებ 40 %-ს.

1.1.8 დასკვნაში მოცემულია, რომ მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციას. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას, და 60% სასწავლო კომპონენტს. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტი და დამატებით - შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით.

1.1.9 საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ მცირე ბიზნესის მწარმოებლის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - მცირე ბიზნესის მწარმოებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას, და 60% სასწავლო კომპონენტს. დაშვების წინაპირობა - მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის დიპლომი და შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით.

1.1.10 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, კინოტელეოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (IV საფეხური) დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - კინოტელეოპერატორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 60 სასწავლო პრაქტიკას. დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება, ეროვნული გამოცდის ზოგადი უნარების ტესტი.

1.1.11 დასკვნის თანახმად, ქორეოგრაფ -რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ქორეოგრაფ-რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 60% ეთმობა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40% - საშემსრულებლო - შემოქმედებით პრაქტიკას. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, ეროვნულ გამოცდის უნარების ტესტი და შემდგომ, შიდა შესარჩევი კონკურსი.

1.1.12 ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, ქორეოგრაფ -რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ქორეოგრაფ-რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 60% ეთმობა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40% - საშემსრულებლო - შემოქმედებით პრაქტიკას. დაშვების წინაპირობა - ქორეოგრაფ-რეპეტიტორის IV საფეხურის დიპლომი და შემდგომ, შიდა შესარჩევი კონკურსი.

ექსპერტმა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დააფიქსირა შემდეგი შენიშვნა: „ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების მინიმალურ ასაკს - 18 წელს, რაც წარმოდგენილ პროგრამაში არ არის ასახული”.

ზეპირ მოსმენაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიული სტანდარტი პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითვალისწინებდა დაშვების მინიმალურ ასაკს - 18 წელს. აღნიშნული წინაპირობა დაწესებულების მიერ შედგენილ პროგრამაში არ იყო მითითებული.

მოცემულ შენიშვნასთან დაკავშირებით შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი გამოსწორებული იქნა მათ მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ მოხდა აღნიშნული ცვლილების განხორციელება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ შესაბამისი

შესწორება იქნა შეტანილი ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტ მარიამ დარბაიძეს, კერძოდ, გამოსწორებული იყო თუ არა საექსპერტო დასკვნაში აღნიშნული ხარვეზი დაწესებულების მიერ ესპერტთა ვიზიტის დროს. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტისგან მიიღო დადებითი პასუხი, კერძოდ მარიამ დარბაიძემ დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ქორეოგრაფ-რეპეტიტორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა სათანადო ცვლილება ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში.

1.1.13 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, საესტრადო მუსიკის შემსრულებლის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - საესტრადო მუსიკის შემსრულებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც 60% ეთმობა საესტრადო ხელოვნებას და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 40% - საშემსრულებლო-შემოქმედებით პრაქტიკას. დაშვების წინაპირობა - საესტრადო მუსიკის შემსრულებლის IV საფეხურის კვალიფიკაცია. ექსპერტმა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დააფიქსირა, რომ მოცემული პროგრამის პროფესიული სტანდარტი დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მინიმალურ ასაკს -17-18 წელს, რაც დაწესებულების მიერ შედგენილ პროგრამაში არ არის მითითებული.

ზეპირ მოსმენაზე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოცემული ხარვეზიც მათ მიერ გამოსწორებული იქნა ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ექსპერტმა მარიამ დარბაიძემ, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ საექსპერტო ვიზიტის დროს მოხდა პროგრამაში ცვლილების შეტანა და შემდგომ უზრუნველყოფი იქნა მისი დაწესებულების ოფიციალურ საიტზე განთავსებაც.

1.1.14 საექსპერტო დასკვნის მიხედვით, საესტრადო მუსიკის შემსრულებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - საესტრადო მუსიკის შემსრულებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 30% ეთმობა საესტრადო ხელოვნებას და მასთან

დაკავშირებული დისციპლინების შესწავლას, ხოლო 30% - საშემსრულებლო-შემოქმედებით პრაქტიკას. დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება; ეროვნული გამოცდის უნარების ტესტი; საშემსრულებლო - შემოქმედებითი უნარები; შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით. მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით ექსერტს ჰქონდა შემდეგი შენიშვნა: „კრედიტების გადანაწილება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის შეესაბამება აღნიშნული პროფესიული პროგრამის სტანდარტს, თუმცა შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტთან.

ზეპირ მოსმენაზე რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მართალია შეესაბამებოდა აღნიშნული პროფესიული პროგრამის სტანდარტს, თუმცა არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს. აღნიშნული ნორმის თანახმად, კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული ხარვეზი იქნა გამოსწორებული, რაც დაადასტურა ასევე ავტორიზაციის ექსპერტმაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა არსებობდა თუ არა დაწესებულების მერ წარმოდგენილ 25 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ცენტრის მიერ დამტკიცებული სტანდარტები, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დაზუსტების მიზნით ცენტრის წარმომადგენელს შეეკითხა შეესაბამებოდა თუ არა საესტრადო მუსიკის შემსრულებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სტანდარტს, რაზეც რევაზ ხოფერიამ მიუგო, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, აღნიშნული პროგრამა შეესაბამებოდა პროფესიული პროგრამის სტანდარტს, თუმცა წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5

ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან“.

ავტორიზაციის ექსპერტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მოცემული ხარვეზი დაწესებულებამ გამოასწორა საექსპერტო ვიზიტის დროსვე. საბჭოს თავმჯდომარე ექსპერტს შეეკითხა, რამდენად ადასტურებდა იგი იმას, რომ საესტრადო მუსიკის შემსრულებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამებოდა, როგორც პროფესიული პროგრამის სტანდარტს, ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ იგი ამოწმებდა დაწესებულების მატერიალურ რესურსს და შესაბამისად აღნიშნულ კითხვაზე არ შეეძლო დანამდვილებით გაეცა პასუხი.

რევაზ ხოფერიამ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც კრედიტების 30 ეთმობა დისციპლინების შესწავლას, ხოლო 30 კი - საშემსრულებლო-შემოქმედებით პრაქტიკას. რევაზ ხოფერიას მოსაზრებით, გაურკვეველია თუ რა იგულისხმება 30-ში, პროცენტი, თუ კრედიტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ მიერ წარმოდგენილ პროგრამაში იგულისხმებოდა არა 30%, არამედ 30 კრედიტი.

რევაზ ხოფერიას განმარტებით, თუ დაწესებულების მიერ ნაგულისხმევი იყო 30 კრედიტი, მაშინ მათ მიერ წარმოდგენილი სავარაუდოდ პროგრამა შესაბამისობაში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან“.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 31 დეკემბრის №144 ბრძანება „საესტრადო მუსიკის შემსრულებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნული საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ როდესაც პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს და არ შეესაბამება მინისტრის ბრძანებას (გამომდინარე იქედან რომ სწორედ პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობას ადგენს საბჭო), ასევე იმ დროს როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, მაგრამ შესაბამისობაშია მინისტრის ბრძანებასთან (ვინაიდან მინისტრის ბრძანება უფრო მაღალი იურიდიული ძალის ადმინისტრაციული აქტია) ავტორიზაციის საბჭომ, დაინტერესებული პირის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მიიღოს დაინტერესებული პირის სასარგებლო გადაწყვეტილება.

1.1.15 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, ეროვნული სამოსის სპეციალისტის I საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ეროვნული სამოსის სპეციალისტის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, აქედან 50 % ეთმობა სასწავლო პრაქტიკას და 50% თეორიულ დისციპლინებს. დაშვების წინაპირობა - 9 კლასდამთავრებული მოქალაქეები და დამატებით ტარდება შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.16 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ეროვნული სამოსის სპეციალისტის II საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ეროვნული სამოსის სპეციალისტის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, აქედან 50 % ეთმობა სასწავლო პრაქტიკას და 50 % თეორიულ დისციპლინებს. დაშვების წინაპირობა - 9 კლასდამთავრებული მოქალაქეები, რომლებსაც გავლილი ამ პროგრამის I საფეხური, და დამატებით ტარდება შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.17 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ეროვნული სამოსის სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ეროვნული სამოსის სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, აქედან 50 % ეთმობა სასწავლო პრაქტიკას და 50% თეორიულ დისციპლინებს. დაშვების წინაპირობა - 9 კლასდამთავრებული მოქალაქეები, რომლებსაც გავლილი ამ პროგრამის II საფეხური, და დამატებით ტარდება შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.18 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ეროვნული სამოსის სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ეროვნული სამოსის სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, აქედან 50 % ეთმობა სასწავლო პრაქტიკას და 50% თეორიულ დისციპლინებს. დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება და ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების გამოცდა ან ეროვნული სამოსის სპეციალისტის III საფეხურის დიპლომი. დამატებით - შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.19 ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, ეროვნული სამოსის სპეციალისტის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება - ეროვნული სამოსის სპეციალისტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, აქედან 50 % ეთმობა სასწავლო პრაქტიკას და 50% თეორიულ დისციპლინებს. დაშვების წინაპირობა IV საფეხურის დიპლომი და შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.20 დასკვნის თანახმად, კორესპონდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (III საფეხური) დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება კორესპონდენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, საიდანაც 12 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 18 კრედიტი – სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. დაშვების წინაპირობა - 9 კლასის განათლება და შიდა შესარჩევი კონკურსი.

1.1.21 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა საწარმოო პრაქტიკას და 60% სასწავლო კომპონენტებს. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, ეროვნული გამოცდის ზოგადი უნარების ტესტები და შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.22 დასკვნის მიხედვით, კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა საწარმოო პრაქტიკას და 60% სასწავლო კომპონენტებს. დაშვების წინაპირობა - პროგრამის IV საფეხურის დიპლომი და შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.23 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ტელერადიო რეპორტიორის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ტელერადიო რეპორტიორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 60 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას და 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტებს. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, ზოგადი გამოცდების უნარების ტესტი.

1.1.24 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, სასტუმრო საქმისმწარმოებლის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება სასტუმრო საქმისმწარმოებლის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობაა 10 თვე), საიდანაც 60% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას და 40% თეორიულ კომპონენტებს. დაშვების წინაპირობაა - 9 კლასდამთავრებულები და სკოლადამთავრებული აბიტურიენტები, და დამატებით შესარჩევი ტური გასაუბრებით.

1.1.25 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, საიდანაც 40% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ზოგადი უნარების გამოცდა ან სასტუმრო საქმისმწარმოებლის III საფეხურის პროფესიული დიპლომი. დამატებით. შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით. ექსპერტებმა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დააფიქსირეს შენიშვნა, კერძოდ მათი განმარტებით, წარმოდგენილი პროგრამა არ შეესაბამებოდა ცენტრის მიერ დამტკიცებულ სტანდარტს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამისგან განსხვავებით, სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV საფეხურის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი საწარმოო და სასწავლო პრაქტიკისთვის ითვალისწინებს 50%.

ზეპირ მოსმენაზე რევაზ ხოფერიამ ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ IV საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისთვის ითვალისწინებს 40%, მაშინ როდესაც ცენტრის მიერ დამტკიცებული ამავე პროგრამის სტანდარტით საწარმოო და სასწავლო პრაქტიკისთვის გათვალისწინებულია 50%. მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა არ შეესაბამებოდა პროფესიულ სტანდარტს.

დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაციით, აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორებულია და პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა განთავსებული იყო მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე. რევაზ ხოფერიას განმარტებით, ეს ხარვეზი დაფიქსირებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის გამოსწორდა აღნიშნული ხარვეზი, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, თუ ვიზიტის დასრულების შემდგომ. აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხარვეზი დაწესებულების მიერ გამოსწორდა ექსპერტთა ვიზიტის დროს.

1.1.26 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სასტუმრო საქმისმწარმოებლის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება სასტუმრო საქმისმწარმოებლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა 5 თვე), კრედიტების 40% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. დაშვების წინაპირობაა - სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული დიპლომი და შესარჩევი კონკურსი გასაუბრებით. ექსპერტებმა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებითაც დააფიქსირეს შენიშვნა, კერძოდ მათი განმარტებით, წარმოდგენილი პროგრამა არ შეესაბამებოდა ცენტრის მიერ დამტკიცებულ სტანდარტს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამისგან განსხვავებით, სასტუმრო

საქმისმწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი საწარმოო და სასწავლო პრაქტიკისთვის ითვალისწინებს 50%.

ზეპირ მოსმენაზე რევაზ ხოფერიას განმარტებით, ექსპერტების მიერ დადგენილი ხარვეზი სასტუმრო საქმისმწარმოებლის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით იყო წინა ხარვეზის იდენტური. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებითაც გამოიკვია, რომ დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული ხარვეზი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ, რა ფორმით გამოასწორეს ხარვეზები დაწესებულების წარმომადგენლებმა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამებში ცვლილებები შევიდა შესაბამისი ბრძანების გამოცემის გზით. დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაციით, აღნიშნული ბრძანება არ იყო გამოქვეყნებული დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

1.1.27 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV და V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი სილაბუსები (ბიზნესის საფუძვლები - IV – V საფეხურები, აგრეთვე ფინანსების თეორია - IV-V საფეხურები) იყო იდენტური.

ზეპირ მოსმენაზე რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის თანახმად, მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი სილაბუსები შინაარსობრივად იყო იდენტური. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა აღნიშნული პროგრამების გასწორებული სილაბუსები. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტ მარიამ დარბაიძეს დაუსვა კითხვა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გამოსწორებული ხარვეზი საავტორიზაციო ვიზიტის დროს. მოცემულ კითხვაზე კახი ყურაშვლმა ექსპერტისგან მიიღო დადებითი პასუხი. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ არ ჩაწერეს ავტორიზაციის ექსპერტებმა თავიანთ დასკვნაში აღნიშნული ინფორმაცია. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ გასწორებული სილაბუსები მათ არ უნახავთ. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაკონკრეტების მიზნით შეკითხვით მიმართა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენელს, თუ როდის მოხდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზი გამოსწორებული იქნა საავტორიზაციო ვიზიტის დასრულების შემდგომ, კერძოდ 2011 წლის 26 მარტს.

1.1.28 დასკვნის შესაბამისად, დაწესებულებას თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰქონდა ასევე ორი საგანმანათლებლო პროგრამა: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამა და ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა (არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის). ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა რექტორის ბრძანება აღნიშნული პროგრამების გაუქმების შესახებ. შესაბამისად, ისინი ექსპერტთა მიერ არ გადამოწმებულა.

რევაზ ხოფერიას განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გამოვლენილი იქნა აგრეთვე შემდეგი ხარვეზები:

1.1.29 მეოთხე საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, საწარმოო პრაქტიკა მოიცავს 18 კრედიტს (450 საათს), რაც არ შეადგენს პრაქტიკისთვის პროგრამით გათვალისწინებულ 40%-ს.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის ადგილზე შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ საწარმოო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული იყო 40%, ვინაიდან პროგრამა მთლიანად 60 კრედიტიანია, ხოლო პრაქტიკისთვის გათვალისწინებულია 24 კრედიტი, რაც სწორედ 40%, კრედიტების საერთო ოდენობისა.

1.1.30 მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ორ სემესტრიანი ფინანსების თეორიის სილაბუსი არის გათვლილი მხოლოდ 15 კვირაზე, ხოლო სასწავლო პროცესის აღწერაში, კერძოდ, სასწავლო და სალექციო დროის განაწილებაში აღნიშნულია, რომ „სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის და გაზაფხულის, თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა კი შეადგენს 15 კვირას”.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა მოცემულ ხარვეზთან დაკავშირებით განმარტა, რომ 15 კვირა იყო სასწავლო, ხოლო დანარჩენი კვირები გადანაწილებული იყო სხვა კომპონენტებზე, მაგალითად, ფინალურ გამოცდაზე.

ადგილზე გადამოწმების შედეგად, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული პროგრამის ფინანსების თეორიის სასწავლო კურსი იყო ჩასწორებული და მასში აღნიშნული იყო რომ კურსი ერთსემესტრიანია.

1.1.31 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა რევაზ ხოფერიამ ასევე აღნიშნა, რომ ბიზნესის საფუძვლების სილაბუსი, რომელიც ისწავლება მეოთხე საფეხურზე მიზნად ისახავს ბიზნესის არსისა და მართვის სწავლებას, ხოლო იგივე სილაბუსი მეხუთე საფეხურზე მიზნად ისახავს ბიზნესის არსისა და საფუძვლების სწავლებას და მისი შედეგია: ბიზნესის არსის მართვისა და ორგანიზების ცოდნა. როგორც ვხედავთ, ბიზნესის საფუძვლების სილაბუსებს მიზნების სხვაობის მიუხედავად აქვთ იდენტური შედეგი.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ აღნიშნული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

1.1.32 მომხსენებელმა განმარტა, რომ დრამის რეჟისორ -რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მე-4 საფეხური) მიზანია - თეატრის რეჟისორის მომზადება, რომელიც ფლობს განმსაზღვრელ საფუძვლებსა და პროფესიის ფუნდამენტურ კანონებს თეატრის დამდგმელ რეჟისორად ჩამოყალიბებისთვის. მომხსენებლის მოსაზრებით, აღნიშნული პროგრამა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს პროფესიულ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის საქმიანობა ითვალისწინებს რეპეტიციების მსვლელობისას დამდგმელი რეჟისორისთვის დახმარების გაწევას მსახიობების მიერ როლების მომზადების პროცესში. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის მიზანი არ შეესაბამება ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული პროგრამის სტანდარტს.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ აღნიშნული პროგრამის სტანდარტის მიხედვით, დაწესებულებამ უნდა მოამზადოს რეჟისორის დამხმარე, მაშინ როდესაც დაწესებულება, მის მიერ შედგენილი პროგრამით, სიღრმისეულად ამზადებს დამდგმელი რეჟისორის პრაქტიკოს სპეციალისტს. ამასთან

დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა შედგენილი იყო გიგა ლორთქიფანიძის მიერ და პროგრამის მიზანი იყო მხოლოდ ის, რომ მომზადებულიყო რეჟისორ-რეპეტიტორი და არა დამდგმელი რეჟისორი. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი პროგრამიდან აღნიშნული მიზანი არ იკვეთებოდა.

1.1.33 მომხსენებლის განმარტებით, შემდეგი ხარვეზი ეხება იგივე პროგრამას. ხარვეზი მდგომარეობს შემდეგში: დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის პროფესიული პროგრამის მიზანია დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მომზადება, რომელიც ფლობს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძვლებს. პროგრამას დართული აქვს შედეგების რუქა, რომელშიც მითითებულია, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლება ფსიქოლოგია. მოცემული საგანი კი სასწავლო გეგმაში მოცემული არ არის.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის საგანი სასწავლო გეგმაში იყო მოცემული. საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ სასწავლო გეგმაში აღნიშნული საგანი იყო მოცემული.

1.1.34 რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ სასტუმროს საქმის მწარმოებლის მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამების მიზნები იყო იდენტური.

ზეპირ მოსმენაზე შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასტუმროს საქმის მწარმოებლის მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამების მიზნები იყო იდენტური. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი დაწესებულების მიერ აუცილებლად იქნებოდა გამოსწორებული.

1.1.35 მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კრიმინალიტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამების მიზნები ასევე იყო იდენტური.

ზეპირ მოსმენაზე პროგრამების შემოწმების შედეგად, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ აღნიშნული პროგრამის მიზნები იყო

იდენტური. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კრიმინალიტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამების მიზნები იყო იდენტური და ეთანხმებოდნენ ცენტრის მიერ დადგენილ ხარვეზს. მაგრამ ამ საფეხურზე რეალიზებული სწავლების შედეგები განსხვავდებოდა, რაც დადასტურდა ადგილზე გადამოწმების წესით.

1.1.36 მომხსენებელმა განმარტა, რომ შემდეგი შენიშვნა ეხებოდა საესტრადო მუსიკის შემსრულებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამას, რომლის მიზნებიც იყო იდენტური.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ მეოთხე და მეხუთე საფეხურის საესტრადო მუსიკის შემსრულებლის პროფესიული პროგრამის მიზნები იყო იდენტური. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ აღნიშნულ მოსაზრებას.

1.1.37 რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ ანალოგიური ხარვეზი ქონდა ეროვნული სამოსის სპეციალისტის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამებს, კერძოდ მიზნები იყო კვლავ იდენტური.

ზეპირ მოსმენაზე ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ცენტრის მიერ გამოვლენილი ხარვეზს და საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეროვნული სამოსის სპეციალისტის პროფესიულ პროგრამებს მიზნები ჰქონდათ ერთნაირი.

1.1.38 მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ცენტრის მიერ გამოვლენილ შემდეგ ხარვეზზე. რევაზ ხოფერიას განმარტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან (მაგალითად: კორესპოდენტი, კინოტელეოპერატორი, ქორეოგრაფ-რეპეტიტორი, ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი, გუნდის ლოტბარი/რეგენტი, საესტრადო მუსიკის შემსრულებელი) დაკავშირებით საინტერესოა შესაბამისი მატერიალური რესურსის საკითხი. ექსპერტთა დასკვნიდან არ გამომდინარეობს, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისთვის შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო ყველა ის აუცილებელი პირობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ, რომ სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებინათ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ასევე ავტორიზაციის ექსპერტმაც. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას კინოტელეოპერატორის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აპარატურა, რაზეც როგორც ექსპერტისგან, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებისგან მიიღო დადებითი პასუხი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ასევე მოწყობილი ჰქონდა თეატრალური სახელოსნო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გაფორმებული მემორანდუმი რომელიმე დაწესებულებასთან. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცალკეული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით მემორანდუმები გაფორმებული იყო ტელევიზიასთან, იური მეჩითოვის სახელოსნოსთან. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ ანახეს აღნიშნული მემორანდუმები ავტორიზაციის ექსპერტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ექსპერტებს აღნიშნული მემორანდუმები გააცნეს. მოცემული ფაქტი დაადასტურა ავტორიზაციის ექსპერტმა მარიამ დარბაიძემაც. საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აღნიშნული შენიშვნა იქნა მოხსნილი.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

2011 წლის 11 აპრილის სხდომაზე ავტორიზაციის საბჭომ თავი შეიკავა საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისაგან.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ს თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია

დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:

2.1.1 საექსპერტო დასკვნის თანახმად, დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი ატვირთულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

3.1.1 დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს, ისინი ჩამოყალიბებულია 6 კრიტერიუმის მიხედვით.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს და არ შეესაბამება მინისტრის ბრძანებას (გამომდინარე იქედან რომ სწორედ პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობას ადგენს საბჭო), ასევე იმ დროს როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, მაგრამ

შესაბამისობაშია მინისტრის ბრძანებასთან (ვინაიდან მინისტრის ბრძანება უფრო მაღალი იურიდიული ძალის ადმინისტრაციული აქტია) ავტორიზაციის საბჭომ, დაინტერესებული პირის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მიიღოს დაინტერესებული პირის სასარგებლო გადაწყვეტილება.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

4.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, კოლეჯის რექტორის 17 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია: საზოგადოებრივ კოლეჯში სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, სტუდენტთა განათლების აღიარება, უცხოელ სტუდენტთა მიღების წესი, სტუდენტთა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესები.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

5.1.1 დასკვნის თანახმად, საზოგადოებრივი კოლეჯის 17 თებერვლის რექტორის №3 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში გაწერილია პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზუნველყოფის მექანიზმები.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად”.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

6.1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, საზოგადოებრივი კოლეჯის რექტორის 2011 წლის 17 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე

ნაკლებკონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის თანახმად, შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ”ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია” სარგებლობის უფლებით ფლობს ქ. თბილისში ორ მისამართზე განთავსებულ ფართს საერთო ოდენობით - 1948, 30 კვ.მ.

1.აკაკი წერეთლის გამზ. №117-ში არსებულ №26 ნაგებობის მე-4 სართულზე განთავსებულ ფართზე (400 კვ.მ) კოლეჯს მის მესაკუთრესთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება (მოქმედების ვადა 01.03.2011- 01.03.2020). ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ვადის განმავლობაში, მოიჯარეს აქვს აღნიშნული ფართის შეუფერხებელი და სრული გამოყენების უფლება.

2.აკაკი წერეთლის გამზ.#1-ში მდებარე შენობაში II, III და IV სართულებზე განთავსებულ ფართზე (საერთო მოცულობით 1548, 30 კვ.მ.) კოლეჯს მის მესაკუთრესთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება (მოქმედების ვადა - 16.02.2011-16.02.2021) ფართის 24 საათიანი სარგებლობის რეჟიმით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.№117	400 კვ.მ.
2.	თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.№1	1548,30 კვ.მ.
		საერთო ფართი
		1948,30 კვ.მ.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, აკაკი წერეთლის გამზ. №117-ში არსებულ №26 ნაგებობის მე-4 სართულზე არსებულ ფართში განთავსებულია 6 აუდიტორია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდებით, სკამებით, და დაფებით), კომპიუტერული კლასი, საცეკვაო დარბაზი სარკეებით და სცენით, და სიმღერის ოთახი, სადაც დგას ერთი პიანინო, სამკითხველო დარბაზი.

აკაკი წერეთლის გამზ. №1-ში მდებარე ნაგებობის მე-2 და მე-3 სართულზე განთავსებულია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, მოდელირების და თექნის წარმოების

ლაბორატორია, ქორეოგრაფიული დარბაზი, სიმღერის ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი. მე-4 სართულზე მიმდინარეობს ს არემონტო სამუშაოები, სადაც იგეგმება ტელესტუდიის განთავსება. დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაციით, სამუშაოების დამთავრება იგეგმება ა.წ. სექტემბრისთვის.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, მას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შესაბამის დაწესებულებებთან.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები”.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის შესაბამისად, ორივე მისამართზე არსებული ფართი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ბუნებრივი განათებით და გათბობის ერთიანი, ავტონომიური სისტემით.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი

(როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებაში, ორივე მისამართზე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულების წიგნადი ფონდის რაოდენობა შეადგენს 4035 ერთეულს.

ბიბლიოთეკაში წიგნები დალაგებულია ანბანური და თემატური წესით; წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით; მოწესრიგებულია მკითხველის ბარათები, წიგნების კატალოგი (როგორც ელექტრონული ისე ბეჭდური სახით). წიგნების ელექტრონული კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე (www.xma.ge); ბიბლიოთეკაში არსებობს მოწესრიგებული საინვენტარო წიგნი. ორივე კორპუსში არსებულ ბიბლიოთეკებში არის სამკითხველო დარბაზები.

დაწესებულებას რექტორის 2011 წლის 17 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის ფუნქციები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. აღნიშნულ დებულებაში აგრეთვე გაწერილია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე. შაბათს 10 საათიდან 15 საათამდე.)

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში”.

4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, კოლეჯში საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები, როგორცაა ინტერნეტი, შიდა ქსელი, ელექტორნული ფოსტა, ვებ.გვერდი (www.xma.ge). კოლეჯის მასწავლებლებს აქვთ ელექტორნული ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონები, რომლებიც მითითებულია კურსების პროგრამებში(სილაბუსებში) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, კოლეჯში საქმისწარმოებას უზრუნველყოფს კანცელარია. კოლეჯის რექტორის 2011 წლის 17 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება, სადაც გაწერილია კანცელარიის მუშაობის ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენციები. კოლეჯში არსებობს ბრძანებების წიგნი და სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელთა წარმოება მიმდინარეობს კალენდარული წლის ფარგლებში. კოლეჯში წარმოებს გასული და შემოსული კორესპონდენციის სანდო აღრიცხვიანობა და ოქმების წარმოება.

5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია

პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, დაწესებულების ორივე კორპუსში არსებულ სართულებზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლჩაქრობი ბალონი), საევაკუაციო გეგმა. ორივე კორპუსში მოწყობილია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. ფუნქციონირების დაცვის სამსახური.

6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის“.

7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნაში მოცემულია, რომ ვიზიტის დროს კოლეჯის არც ერთ ფართში არ იყო მოწყობილი ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ამასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ნარდობის ხელშეკრულება განსახორციელებელი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესახებ, რომლის დანართშიც ჩამოთვლილია შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, სადაც გათვალისწინებულია პანდუსის აგება, მითითებული სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2011 წლის 10 აპრილისა.

ზეპირ მოსმენაზე მომხენებელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების არცერთ ფართში არ იყო მოწყობილი ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოები დამთავრების პროცესში იყო. საბჭოს თავმჯდომარე დაზუსტების მიზნით შეეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ როგორც მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევოდა სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2011 წლის 10 აპრილამდე. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სარემონტო სამუშაოები არ იყო დასრულებული. ავტორიზაციის ექსპერტმა დაადასტურა, რომ ნარდობის ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოების ჩატარების თაობაზე წარმოდგენილი იყო საავტორიზაციო ვიზიტის განმავლობაში და სამუშაოების დასრულების ვადად მითითებული იყო 2011 წლის 10 აპრილი.

7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

2011 წლის 11 აპრილის სხდომაზე ავტორიზაციის საბჭომ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხდომაზე მოსმენილი ასხსნა-განმარტებების გათვალისწინებით უტყუარად ვერ გამოარკვია წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოება. შესაბამისად, საბჭომ თავი შეიკავა დაწესებულების ზემოაღნიშნული პირობის ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისაგან.

8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის თანახმად, დაწესებულებას აქვს ვებგვერდი - www.xma.ge; ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის შინაგანაწესი, მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ. ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და

საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია სანდო მრიცხველი და მითითებულია შექმნის თარიღი, საკონტაქტო ინფორმაცია.

8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გეგმებში სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება: სასწავლო პროგრამების და სილაბუსების ელექტრონული უზრუნველყოფა; კოლეჯის ბაზაზე სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ობიექტების შექმნა, ბიბლიოთეკის შევსება ახალი ლიტერატურით, საკონფერენციო-საკონცერტო დარბაზის მოწყობა, უცხოელი პედაგოგების მოწვევა, აკადემიური ჟურნალის ვებგვერდის სისტემის შექმნა.

9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი

1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს“.

1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები
დასკვნის მიხედვით, მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. კოლეჯში მიმართულებების მიხედვით საათობრივ ანაზღაურებაზე მოწვეული წესით ხელშეკრულება გაფორმებულია 80(ოთხმოც) მასწავლებელთან.

1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი“.

2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და შესაბამისად, პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა ვერ დგინდება.

2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე იქნა განხილული და საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდა შემდეგ გარემოებათა გამო:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის ექსპერტთა შედგენილი დასკვნა და საბჭოს სხდომაზე ექსპერტის მიერ აღნიშნული გარემოებები წინააღმდეგობრივია. ავტორიზაციის საბჭომ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე, ამ ეტაპზე ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, ვერც ავტორიზაციის მინიჭებაზე და ვერც ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ.

ავტორიზაციის საბჭოს მიაჩნია, რომ რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ავტორიზაციის სხდომაზე მოსმენილი ზეპირი ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებები განმეორებით უნდა გადამოწმდეს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სთხოვა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, რომ დაწესებულებაში მიავლინოს ერთი ან რამდენიმე სპეციალისტი, რომელიც გადაამოწმებს კონკრეტულად იმ გარემოებებს,

რომელიც ავტორიზაციის საბჭოსთვის არის უტყუარად დასასაბუთებელი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განმეორებით გადასამოწმებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსები, ის საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მიზნები არის იდენტური და ასევე გადამოწმებული უნდა იქნას, ის ფაქტი, თუ რამდენად აქვს დაწესებულებას ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. სილაბუსებთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნის მიხედვით, რამდენიმე პროგრამის სილაბუსი არაა შესაბამისობაში აღნიშნული პროგრამის პროფესიულ სტანდარტებთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა კი წარმოადგინეს გასწორებული სილაბუსები. საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტ მარიამ დარბაიძის განმარტებით, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მათთვის აღნიშნული სილაბუსები არ ჰქონდა წარდგენილი.

ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისთვის საჭიროა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეაჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას და განაახლებს მას შემდეგ, რაც ცენტრის მიერ მივლინებული სპეციალისტი/სპეციალისტები წარმოადგენენ შესაბამის დასკვნას.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, დავით კერესელიძემ სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს დაეზუსტებინა, თუ რამდენი სპეციალისტი უნდა მიევლინა ცენტრს დაწესებულებაში ხელახალი გადამოწმებისთვის. მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი მთლიანად ცენტრის კომპეტენციაში შედიოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა დამატებით განმარტა, რომ ეს არ არის ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი. ცენტრის მიერ დაწესებულების განმეორებითი გადამოწმება შეიძლება მოხდეს დაწესებულებაში ვიზიტით ან მის გარეშე, დოკუმენტების გადამოწმებით. გადამოწმების მეთოდოლოგიას, ხერხს, დროს შეარჩევს ცენტრი.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების გზით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

მოწინააღმდეგე: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

გადაიდოს შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის
ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

5. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის საკითხი

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა, რომ 2011 წლის 25 იანვრის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე უნდა განხილულიყო შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე ავტორიზაციის საბჭომ დააკმაყოფილა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, ხარვეზების გამოსწორების მიზნით, თვითშეფასებისა და ექსპერტების დასკვნის განხილვის 2011 წლის 4 აპრილამდე გადადების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებას ხარვეზების გამოსწორების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოედგინა 2011 წლის 4 აპრილამდე. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს აღნიშნული დოკუმენტები არ ჰქონდა მიღებული. ამასთან დაკავშირებით შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა 2011 წლის 11 აპრილის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ადმინისტრაციული წარმოება იყო შეჩერებული და დაწესებულებას ხარვეზების გამოსწორების თაობაზე დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინა 2011 წლის 4 აპრილამდე. ის ფაქტი, რომ 4 აპრილს გასამართი ავტორიზაციის საბჭოს სხდომა გადაიდო 11 აპრილისთვის, არ ნიშნავდა იმას, რომ დაწესებულებას შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინა 11 აპრილს. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებისთვის დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის დამატებითი ვადა არ იყო განსაზღვრული. შესაბამისად, თავმჯდომარის მოსაზრებით, შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს დამატებითი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინა არა უშუალოდ 11 აპრილს, არამედ 4 აპრილამდე. ამ შემთხვევაში ავტორიზაციის საბჭოს ექნებოდა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ შეესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე პირებს ასევე მოახსენა, რომ 2011 წლის 25 იანვრის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არსებითად არ იქნა განხილული შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნა. შესაბამისად, თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის შეხედულებით,

სასურველია, რომ მომხდარიყო საკითხის განხილვის ხელახლა გადადება, ვინაიდან საბჭოს მხრიდან შეუძლებელი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის, მათ შორის დაწესებულების მიერ გამოსწორებული და საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძვლიანი შემოწმება და სათანადო გადაწყვეტილების მიღება. თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოახსენა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ჩაებარებინათ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის კანცელარიაში. ცენტრი კი შემდგომ უზრუნველყოფდა აღნიშნული დოკუმენტაციის მიწოდებას ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდა აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენელი, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ საბჭოსთვის, მისი აზრით, მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით მოეხსენებინა ინფორმაცია. მისი განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ აღნიშნული ყველა შენიშვნა, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, დაწესებულების მიერ იქნა გათვალისწინებული და გამოსწორებული. პრორექტორმა აღნიშნა, რომ მისთვის საკითხის განხილვის გადადება იყო გარკვეულწილად მოულოდნელი, რადგან ფიქრობდა რომ დაწესებულებას შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენა შეეძლო 2011 წლის 11 აპრილის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზეც.

შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა აღნიშნა, რომ მისი აზრით უნივერსიტეტს საქართველოში ჰყავდა ერთ-ერთი საუკეთესო აკადემიური პერსონალი. მისივე განმარტებით, დაწესებულებას აქვს იმის რესურსი, რომ სრულყოფილად და ხარისხიანად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს საკმაოდ მჭიდრო კავშირები აქვს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან, რომლებიც მზად არიან თანამშრომლობაზე აღნიშნულ დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის შესწავლისთვის ავტორიზაციის საბჭოს სჭირდებოდა გონივრული ვადა, რის შემდეგადაც მოხდებოდა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის საკითხის შეტანა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგში. თავმჯდომარემ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წინასწარ ეცნობებოდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის გადადების საკითხი.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

გადაიდოს შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის საკითხი.

6. კავშირი საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ასოციაცია - თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შეწყვეტის საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, ხომ არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას კავშირი საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ასოციაცია - თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი. აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენელი ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არ იმყოფებოდა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა რევაზ ხოფერიამ საბჭოს განუმარტა, რომ წარმოდგენილმა დაწესებულებამ მომართა ცენტრს და აცნობა, რომ ის აღარ ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას და მოითხოვა ცენტრის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენტრმა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მომართა ავტორიზაციის საბჭოს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ავტორიზებადი საქმიანობა ხორციელდება დაწესებულების მიერ ნებაყოფლობით, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში. ავტორიზაციის გავლა პირისთვის სავალდებულო არ არის. ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა მთლიანად დამოკიდებულია დაწესებულებაზე, რომელსაც სურს განახორციელოს ავტორიზებული საქმიანობა. შესაბამისად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია ნებისმიერ დროს, ვადაზე ადრე გააუქმოს, შეწყვიტოს ავტორიზებული საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, რომელიც უფლებამოსილია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება. კერძოდ, ცენტრმა, პირადი განცხადების საფუძველზე, უნდა ამოიღოს კონკრეტული სუბიექტი ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა უწყებრივი რეესტრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს მიერ ცალკე გადაწყვეტილების მიღება არ იყო საჭირო, რადგან ამ შემთხვევაში ვერც ავტორიზაციის საბჭო და ვერც ცენტრი ვერ ეტყოდა უარს საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, რადგან მას თავისუფლად

შეეძლო შეეწყვიტა აღნიშნული საქმიანობა. შესაბამისად, ცენტრმა უნდა განახორციელოს რეალაქტი, კერძოდ, ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა უწყებრივი რეესტრიდან ამოიღოს აღნიშნული სუბიექტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ხომ არ ჰქონდა განსხვავებული აზრი საბჭოს რომელიმე წევრს. განსხვავებული აზრი საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ.

7. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია ავტორიზაციის საბჭოს მდივანს, გაიანე სიმონიას.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ნანა ჭილაძის მოხსენება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	150	პრაქტიკოსი ექთანი
2	პრაქტიკოსი ბეზიაქალი	V	120	პრაქტიკოსი ბეზიაქალი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს 2011 წლის 1 თებერვალს თვითშეფასების ანგარიშით აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი ქონდა ცენტრში, რისი განხილვაც უნდა მომხდარიყო 2011 წლის 9 მარტს გამართული ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ვინაიდან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო მოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მე-4 დანა რთში, საბჭომ გადაწყვიტა, რომ 2011 წლის 4 აპრილამდე გადადებულიყო სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

ნანა ჭილაძემ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეხუთე დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების დანართი №4-ით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ამ დებულების III თავით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელთან დააზუსტა, ჰქონდა თუ არა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დამტკიცებული სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პრაქტიკოსი ექთანი და პრაქტიკოსი ბეზიქალი) შესაბამისი პროფესიული სტანდარტები. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე პროფესიული სტანდარტები ცენტრის მიერ არ იყო დამტკიცებული.

ნანა ჭილაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პრაქტიკოსი ექთნისა და პრაქტიკოსი ბეზიქალის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებული პროფესიული სტანდარტის პროექტები შეისწავლეს ცენტრის ექსპერტებმა და ისინი შეესაბამებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ და წარმოდგენილი პროგრამები ასევე შეესაბამებოდნენ შემუშავებული სტანდარტების პროექტებს. შესაბამისად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი თანხმობას აძლევს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს წარმოდგენილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე. მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს მიმართულების, დარგის/სპეციალობის,

ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში დამატების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	150	პრაქტიკოსი ექთანი
2	პრაქტიკოსი ბეგბაქალი	V	120	პრაქტიკოსი ბეგბაქალი

8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ნანა ჭილაძის მოხსენება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი	IV	60	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი
2	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი	V	60	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2011 წლის 1 თებერვალს თვითშეფასების ანგარიშით აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი ქონდა ცენტრში, რისი განხილვაც მოხდა 2011 წლის 9 მარტს გამართულ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ვინაიდან, დაწესებულების მიერ წარდმოგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო მოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მე-4 დანართში, საბჭომ გადაწყვიტა, რომ 2011 წლის 4 აპრილამდე გადადებულიყო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტისთვის წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა.

ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეხუთე დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების დანართი №4-ით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას. მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ამ დებულების III თავით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო.

ნანა ჭილაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები და პროფესიული სტანდარტის პროექტები შეისწავლეს ცენტრის ექსპერტებმა და ისინი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“. შესაბამისად, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი თანხმობას არ აძლევს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოდგენილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 6

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი	IV	60	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი
2	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი	V	60	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი

თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

მდივანი

გაიანე სიმონია